# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 20 სექტემბერი 2007 №217 (3140) ფასი 50 თეთრი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა


# ომი და განსაცდელი
## გმადლობთ, კაპიტანო!

### ილია ზედგინიძე ნაკრებს და რაგბის გამოეთხოვა

ირლანდიელებთან დიდი თამაშისას მიღებული ტრავმის შემდეგ საქართველოს ნაკრებს მისი კაპიტნის, 30 წლის ილია ზედგინიძის გარეშე მოუწევს ბრძოლა.

ილოს წლეულს ისედაც ბოლო სეზონი ჰქონდა, მაგრამ მსოფლიოს თასზე მის გარეშე დარჩენა, აბა, ვის გაუხარდებოდა.

თანაც, რაგბიში კაპიტანი, ცოტა არ იყოს, სხვა ვინმეა და ახლა კი აბუმ უნდა იყოჩალოს, რახან ვიცე-კაპიტნობა სწორედ მას აბარია.

ეს არის — ომია და ომში კი განსაცდელს რა გამოლევს.


ინტერვიუ ილია ზედგინიძესთან იხილეთ მეთოთხმეტე გვერდზე




# ინტერს სტამბოლში ბოლი აუვიდა




ფენერბაჩელი დეივიდის ულამაზესი გოლი

AFP

# აქეთ დინამო, იქით ნაკრები
## გიორგი მერებაშვილი პლუსზე და მინუსზე

ხუთი ტური და ხუთი მოგება — ასეთია თბილისის „დინამოს“ სტარტი მე-19 ეროვნულ ჩემპიონატში. თუმც ამ ხუთ მოგებაში ერთი მნიშვნელოვანი დელატიცაა: „დინამოს“ არც ერთ პირველ ტაიმში არ შეუგდია გოლი, მეორე ტაიმებში კი 13 გაიტანა. ამ 13 ბურთიდან 3 გიორგი მერებაშვილის ანგარიშზეა. ახალგაზრდა ფეხბურთელი თანდათან ყალიბდება გუნდის ლიდერად და მისი კარგი თამაში არც ნაკრების მწვრთნელებს გამორჩენიათ — მერებაშვილი ახალგაზრდული ნაკრების მუდმივი წევრია, უკრაინასთან მატჩისთვის კი კლაუს ტოპმიოლერმა ეროვნულშიც გამოიძახა. მართალია, გიორგიმ იქ მხოლოდ ივარჯიშა და მწვრთნელთა შტაბის გადაწყვეტილებით, ისევ ახალგაზრდულს დაუბრუნდა, მაგრამ ფაქტია, ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის ეროვნულის კარი ღიაა...



— გიორგი, უკვე ხუთი მოგება მოგიგროვდათ...

— ჩემპიონატის კარგად დაწყება საქმის ნახევარია, თუმც ამას ბოლომდე უნდა მიყვანა. ყველა თამაშის მოგება ძნელი იქნება, მაგრამ როდემდე შევძლებთ, მომავალი გვიჩვენებს — ჩვენ მოედანზე მხოლოდ მოსაგებად გავალთ.

— უახლოესი მატჩი ზუგდიდში გელით, დებიუტანტმა „მგლებმა“ ჩემპიონატი კარგად დაიწყო და ხელწამოსაკრავი გუნდი არ ჩანს...

— მართალია, ჯერ არ მინახავს, მაგრამ ვიცი, რომ „მგლები“ კარგად თამაშობს. ამასთან ამბობენ, რომ ზუგდიდში მატჩების ჩატარება ყველასთვის რთული იქნება — მაყურებელი მრავლად დადის, თან ჩვენთან ალბათ მეტიც მოვა. მათი მხარდამჭერის ფონზე მეტოქე უფრო აქტიური იქნება. თუმც ჩვენ სამი ქულისთვის მივდივართ.

— ყველა მატჩში ისეა, რომ პირველ ტაიმში გოლი ვერ გაგაქვთ, მეორეს კი იოლად იგებთ...

— ნამდვილად არ ვიცი, რა ხდება. საგოლე მომენტები პირველ ტაიმშიც მრავლად გვაქვს და ვერ ვიყენებთ, მეორეში კი გაგვაქვს. მიზეზი ალბათ ის არის, რომ ყველა გაათმაგებული ძალით გვხვდება და დაცვით ფეხბურთს გვთავაზობს. ასეთ დროს ცოტა ძნელია, მეტოქეს გაუტანო. მეორეში კი უფრო იღლებიან, საქართველოში გუნდებს ფიზიკურად უჭირთ და ჩვენც ლაღად ვთამაშობთ.

— „სიონთან“ გატანილი ბურთით ბომბარდირთა ჯგუფს შეუერთდი. ბომბარდირობაზე სერიოზულად ფიქრობ?

— ეს ძალიან მინდა, მაგრამ მთავარი გუნდია. უკეთესი იქნება, თუ ჩემი გოლებით „დინამო“ ჩემპიონი გახდება.

— ეს მიზანი კი „დინამოს“ სულ აქვს...

— სხვაგვარად არც შეიძლება. „დინამო“ მუდამ ჩემპიონობისთვის იბრძოლებს.

— ნაკრებზეც ვთქვათ: ახალგაზრდულში მუდმივად ხარ, ახლახან ეროვნულშიც მიგიწვიეს, თუმც არ გითამაშია...

— ეროვნულში გამოძახება და თუნდაც ერთი ვარჯიში დიდი სტიმულია ჩემთვის, რადგან ეს ერთხელ უკვე მოხდა, ვეცდები, კვლავ მოვხვდე იქ და ამისთვის თავს არ დავზოგავ. რაც შეეხება ახალგაზრდულს, ეს მწვრთნელებმა გადაწყვიტეს — სადაც უფრო საჭირო ვიყავი, იქ მათამაშეს.

— რა განსხვავებაა ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებებს შორის?

— ეროვნულში გაცილებით მაღალი კლასის ფეხბურთელები არიან. მცირე განსხვავება ვარჯიშებშიც არის, თუმც ტაქტიკური მონახაზი ერთმანეთთან საკმაოდ მიახლოებულია.

— ესპანეთთან შინ კარგად ითამაშეთ, სტუმრად კი 0:4 წააგეთ...

— ესპანეთის ნაკრებს კომენტარი არ სჭირდება, უდავოდ მსოფლიოს ერთ-ერთი ძლიერი გუნდია და მათი ფეხბურთელებიც ძლიერ კლუბებში თამაშობენ — „სევილია“, „ესპანიოლი“... გულდასაწყვეტი ის არის, რომ ასეთ წაგებას არ ვიმსახურებდით, ბავშვური შეცდომები დავუშვით. რამდენიმე ეპიზოდში კი ტოლი არ დავუდეთ.

— ჯგუფიდან გასვლის შანსები გაქვთ?

— გვაქვს და ვეცდებით, გამოვიყენოთ.

— კონკურენტებად პოლონეთი და რუსეთი გყავთ, პოლონელებთან კი სტუმრად 1:3 დამარცხდით...

— კი წავაგეთ, მაგრამ დაუმარცხებელი გუნდი ნამდვილად არ არის, ისევე, როგორც რუსეთი. ვნახეთ მათი თამაში ყაზახეთთან და კიდევ უფრო დეტალურად შევისწავლით. მთავარია, ის შეცდომები არ დავუშვათ, რაც ესპანეთთან მოგვივიდა და ჯგუფიდან გასვლის მეტი შანსი გვექნება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მგლები — დინამო დაწინაურდა

**უმაღლესი** ლიგის მე-6 ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი ზუგდიდის „მგლებსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის, 23 სექტემბრის ნაცვლად, შაბათს, 22-ში გაიმართება.

ეს გადაწყვეტილება საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ მეტოქეთა შეთანხმების საფუძველზე მიიღო.

მოგეხსენებათ, დღესდღეობით ჩემპიონატს „დინამო“ უდანაკარგოდ ლიდერობს, ხოლო „მგლები“ 9 ქულით მეხუთე ადგილზეა. თანაც, თუ გავითვალისწინებთ, რომ ზუგდიდის გუნდი უმაღლეს ლიგას რამდენიმე წლის შემდეგ დაუბრუნდა, საკმაოდ დაძაბულ და საინტერესო მატჩს უნდა ველოდოთ.

აქვე შეგახსენებთ, რომ 22 სექტემბერს კიდევ ერთი გამორჩეული მატჩი იქნება: ზესტაფონს საქართველოს ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპი“ ესტუმრება.

# ყენიას შალკე გამოვიდა



**ფაქტობრივად**, საბოლოოდ გადაწყდა, რომ დღე-დღეზე ლევან ყენია გერმანიაში ჩავა და გელზენკირხენის „შალკეს“ 19-წლამდელთა გუნდში გააგრძელებს კარიერას.

თბილისის „ლოკომოტივის“ 16 წლის გამთამაშებელმა უკვე ყველა ფორმალობა მოაგვარა და ალბათ რამდენიმე დღეში დატოვებს საქართველოს.

ყენია საქართველოს 17 და 19-წლამდელთა ნაკრებების წევრია, ახლახან კი კლაუს ტოპმიოლერმა ეროვნულ ნაკრებშიც მიიწვია და უკრაინასთან და აზერბაიჯანთან მატჩებში ათამაშა.

**ბაჩა ზალამბერიძე**



# ლევან მჭედლიძე უეფაშია

**იტალიურმა** „ემპოლიმ“ 17 წლის ქართველი ფორვარდი ლევან მჭედლიძე უეფას თასის ჯგუფური ეტაპის განაცხადში შეიყვანა.

ტანმაღალი თავდამსხმელი საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც კი იყო გამოძახებული ზაფხულში ლიტვასთან და საფრანგეთთან მატჩების წინ, თუმც ტრავმა მიიღო და მუხლს მკურნალობდა.

ჩვენიანი 90 ნომრით თამაშობს „ემპოლიში“, რომელსაც უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გასასვლელად შვეიცარიული „ციურიხის“ ძლევა დასჭირდება.

**ილია ნანობაშვილი**

# ლევან კობიაშვილი საშაბათოდ ემზადება



**მიმდინარე** ბუნდესლიგის პირველი გოლის ავტორი, „შალკე 04“-ის ფეხბურთელი ლევან კობიაშვილი უკვე ოთხი კვირაა, უქმობს და „ვალენსიასთან“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის სასტარტო მატჩსაც ტრიბუნიდან ადევნა თვალი, თუმც, შესაძლოა, შაბათს კობი ბუნდესლიგას „არმინიასთან“ მატჩში დაუბრუნდეს.

„ხუთშაბათს უკვე გუნდთან ერთად ვივარჯიშებ და ვფიქრობ, შაბათის მატჩისთვის მზად ვიქნები“ — განაცხადა კობიაშვილმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
## ჩვენი მეტოქე

# იტალიამ საქართველოს სამხრეთ აფრიკა მიუმატა

**საქართველოს** ნაკრები 13 ოქტომბერს ევროშესარჩევი მატჩის ჩასატარებლად გენუას ესტუმრება და „ლუიჯი ფერარისის“ სტადიონზე მსოფლიოს ჩემპიონ იტალიას ეთამაშება. 17-ში ქართველები ისევ ოფიციალურად ითამაშებენ შოტლანდიასთან, იტალიელები კი ტურს ტოვებენ. სათამაშო პაუზის შესავსებად მათ სპარინგ-პარტნიორი მოძებნეს და მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელ სამხრეთ აფრიკას სიენაში „არტემიო ფრანკიზე“ დაუხვდებიან.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გავარსკვლავებასა და დაჩაგვრას შორის

## დაღვინებას ცოდნა უნდა

**ვინც იტყვის,** ქართულ ფეხბურთს ტალანტები არ ჰყავსო, პორტუგალია — საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებების გუშინწინდელი შეხვედრის შედეგი გაიგოს.

რაც თავი გვახსოვს, სულ ეს ისმის, ქართველებს ნიჭი მოგვდგამს, პატარები იზრდებიან, მაგრამ როცა უკვე ზრდასრულ ფეხბურთელად ჩამოყალიბების დრო დგება, ერთ ადგილას ჩერდებიანო.

გუშინ შემთხვევით ვათვალიერებდი 2002 წლის 17-წლამდელთა ევროჩემპიონატზე ქართველთა შედეგებს, სადაც კობა ჟორჟიკაშვილის გუნდი მეოთხედფინალში გავიდა, ჯგუფში კი უნგრეთი, პოლონეთი და თვით გერმანია ჰყავდა.

უნგრეთი და პოლონეთი კარგი, მაგრამ გერმანიის ნაკრებში ლუკაშ პოდოლსკი და მარიო გომესიც თამაშობდნენ, ჩვენებმა კი მათთან 1:1 ითამაშეს. თანაც ისეთი 1:1, რომელიც მოგების ტოლფასი იყო, რაკილა ჯგუფიდან გასვლა გავინაღდეთ, გერმანიას კი პოლონეთთან რჩებოდა ჯახი.

მეოთხედფინალში ჟორჟიკაშვილის გუნდმა ტრანკვილო ბარნეტასა და ფილიპ სენდეროსის შვეიცარიასთან წააგო. ისე კი, იმ ტურნირზე თვით კრიშტიანუ რონალდუც თამაშობდა...

რაზე მოვაყოლეთ, მიხვდებოდით: ნუთუ იმ 17-წლამდელთა ნაკრებიდან სამი-ოთხი ბიჭი მაინც არ უნდა გამოსულიყო მაგარი ფეხბურთელი?

სანდრო იაშვილმა იმ ტურნირზე, რომ იტყვიან, იფრინა, 4 გოლი გაიტანა, მაგრამ დღეს ერთი მარიო გომესის სატრანსფერო ფასი ალემატება ჩვენი 17-წლამდელების ერთად აღებულს, პოდოლსკიზე და, მით უმეტეს, კრიშტიანუ რონალდუზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.



ახლა ჩამოვთვალოთ, ჟორჟიკაშვილის იმ გუნდიდან რამდენმა „გაქაჩა": მეკარე ზვიად ჩალაძე ბოლოს თბილისის „ლოკომოტივში" იყო და თითქმის არც უწევდა თამაში; ანზორ კალაძემ ბევრი იმოგზაურა რუსულ კლუბებში, მაგრამ ფეხი ვერსად მოიკიდა, ბოლოს ორი წელი არსად ჩანდა და ახლა „მერანშია"; ბესიკ მიქიაშვილმა უკვე დაასრულა კარიერა; შოთა ჭელიძე, გიორგი კაპანაძე, ზურაბ ბარაბაძე და ზურაბ კვახაძე მას შემდეგ არც გამოჩენილან; დარჩნენ ზაალ ელიავა, გოჩა ხოჯავა, სანდრო იაშვილი, გოგი ფიფია, ვასილ ლუჭაშვილი, გიორგი ჭელიძე, აკაკი ხუბუტია, სანდრო გურული — ესენი, ასე თუ ისე, გარკვეულ დონეზე თამაშობდნენ, მაგრამ ნახეთ, დღესდღეობით ეროვნული ნაკრების წევრი მხოლოდ ელიავაა.

ბევრისგან გაგვიგონია და მართალიცაა, 1985 წელს დაბადებულების თაობა დაიკარგა, პოტენციალის მეათედსაც ვერ თამაშობენო. ალბათ, ეს იმიტომაც ხდებოდა, რომ მაშინ ეროვნული ნაკრების შემადგენლობა თითქმის ხელუხლებელი იყო, ეტაპობრივად არ ხდებოდა 17-წლამდელების თუნდაც 19-წლამდელებში გადაყვანა, გუნდი ერთმანეთში ირეოდა... აი, შარშან საქართველომ 17-წლამდელთა ევროჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ჯგუფურ ეტაპს რომ უმასპინძლა, გერმანელ ჭაბუკთა თავკაცმა გვითხრა, ჩემი ფეხბურთელები 13 წლიდან ერთად მოდიანო.

რა ხდება საიმისოდ, რომ ახლა მაინც გამოსწორდეს სიტუაცია? ხდება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია საკმაო ყურადღებას აქცევს ჩვენს ასაკობრივ ნაკრებებს, ხერხდება შეკრებები. ზოგიერთ მათგანს კი ეტაპობრივად უფროსი ასაკის ნაკრებში გადასვლის შანსი ეძლევა — მაგალითად, ლევან ყენიას, ლევან მჭედლიძეს, გიორგი მაკარიძეს. რა თქმა უნდა, იმას არ ვგულისხმობთ, რომ ჭაბუკი მხოლოდ სტიმულის გამო უნდა შეაპარო ნაკრებს, ან უარესი, გასაყიდად გამოიყენო, რაც, თუნდაც ახლო წარსულში დაუფარავად ხდებოდა და სამწუხაროდ, ორი წლის წინ ყველაზე პერსპექტიულად მიჩნეული ფეხბურთელი დღეს უგუნდოდაა დათვური სამსახურის გამო.

ანუ ორ უკიდურესობასთან გვაქვს საქმე: ჯერ იყო და, ეროვნულ ნაკრებში ასაკობრივიდან წამოსულებს არ სწყალობდნენ, მერე კი, პირიქით, ერთიანად 17-18 წლის ბიჭებით გაავსეს.

ძალიან გვინდა, თუნდაც გუშინწინ ამ ასაკში მუდამ ძლიერი პორტუგალიელი თანატოლების მჯობნ ჭაბუკებს გზა გაეხსნათ. ყველაფერს თავისი დრო აქვს და ოქროს შუალედია მოსაძებნი — არც დაუმსახურებლად „გაქაჩვა" გამოდგება (ვარსკვლავური ავადმყოფობა ხომ გარანტირებულია) და არც დაუმსახურებლად მივიწყება.

ლევან ყენიას ეროვნულში ახლავე აყვანის მართებულობას კი დრო უკეთ გამოაჩენს...

**ილია ნანობაშვილი**

# გოგიტა გოგუა ფანების ტყვეობაში

## ჩემი ნება რომ ყოფილიყო, ნალჩიკში დავრჩებოდი



გოგიტა გოგუას შოტლანდიასთან მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრებში აღარ უთამაშია. ორი მიზეზია: პირველი ის, რომ კლაუს ტოპმიოლერმა იგი უდისციპლინო ფეხბურთელად მოიხსენია, მეორე ის, რომ გოგიტამ მენისკის ოპერაცია გადაიტანა და ორიოდ კვირის წინ დაიწყო თამაში.

რამენსკოეს „სატურნის" ვებგვერდზე კი გოგუასთან და მის თანაკლუბელ რუსლან ნახუშევთან ერთდროული ინტერვიუ გამოქვეყნდა — ინტერვიუ ფანებმა აიღეს ინტერნეტის საშუალებით და ამდენად, საინტერესო კითხვებიც გვხვდება...

— „ნალჩიკში" გატარებულ სეზონს როგორ იხსენებ?

— იქ ერთ-ერთი საუკეთესო სეზონი ჩავატარე. ნალჩიკში თამაში ბედნიერებაა, სულ არა აქვს მნიშვნელობა, რა ეროვნებისა ხარ, კლუბის ხელმძღვანელობაც და მწვრთნელებიც კარგად გეპყრობიან.

— ნალჩიკელების წინააღმდეგ სათამაშოდ სრულად მობილიზებული იქნები?

— რა თქმა უნდა, იმედია, თამაში მომიწევს.

— „ხიმკის", „ნალჩიკის" და „სატურნის" გულშემატკივრებს როგორ შეადარებდი?

— ნალჩიკში რომ ქომაგობა იციან, ასეთი არსად მინახავს. ისინი ფეხბურთელებს დიდ პატივს სცემენ, რაც უმნიშვნელოვანესი მომენტია.

— „სატურნი" უეფას თასზე გასასვლელად იბრძოლებს?

— ალბათ, ეს შეგვიძლია. შვიდი ტური დარჩა და ყველაფერი ჩვენს ხელშია.

— თავს პროფესიონალ ფეხბურთელად მიიჩნევ?

— პროფესიონალურ კლუბში ვთამაშობ, ესე იგი, მეც პროფესიონალი ვარ.

— ბავშვობაში ფეხბურთის გარდა რას თამაშობდით? ვთქვათ, ფრენბურთს?

— ფრენბურთი ჩემთვის საინტერესო სახეობა არაა.

— „ნალჩიკიდან" „სატურნში" გადმოსვლას კარიერაში უკან გადადგმულ ნაბიჯად არ თვლით?

— არა.

— ქართულად რას ნიშნავს თქვენი სახელი?

— გოგიტა, უბრალოდ, სახელია...

— ძალიან მინდა შენი გაცნობა და როგორ მოვახერხო? ძალიან ლამაზი და კარგი ფეხბურთელი ხარ...

— სიამოვნებით, მზად ვარ შესახვედრად.

— რატომ ვერ უგებს ხოლმე „სატურნი" „ნალჩიკს"?

— ალბათ, ნალჩიკელებს შესწავლილი ჰყავთ ჩვენი გუნდი.

— „ნალჩიკიდან" წასვლის შემდეგ კლუბი რამდენჯერმე ცუდად მოიხსენიე და მართალია, მერე მოიბოდიშე, მაგრამ რა იყო შენი გალიზიანების მიზეზი? და არ გრცხვენია, რომ როცა უგუნდოდ რჩებოდი, „ნალჩიკმა" სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეებში აგიყვანა, მერე კი ამ კლუბს, პირველ რიგში, მწვრთნელ იური კრასნოჟანს უგანე? არადა, კრასნოჟანის ხელში გაიხსენი, როგორც ფეხბურთელი...

— „ნალჩიკზე" უხეშად არ მითქვამს. კრასნოჟანის დახმარებით ბევრს მივაღწიე ფეხბურთში და მას ამისთვის დიდ მადლობას ვუხდი. ჩემი სურვილი რომ ყოფილიყო, ნალჩიკში დავრჩებოდი.

— შენმა თანაგუნდელმა მახაჩ გაჯიევმა თქვა, გოგუასთან ვმეგობრობო. კიდევ ვინ არიან „სატურნში" შენი მეგობრები?

— ვცდილობ, ყველასთან ვიმეგობრო.

# საქართველო ისევ უკან

## ბრაზილიის ალავერდი იტალიას

**საქართველოს** ნაკრებმა ფიფა-„კოკა-კოლას" სექტემბრის რეიტინგში კიდევ ერთი ადგილით დაიხია უკან და თავს 104-ე ადგილით „იწონებს".

ბოლო ერთი თვის მანძილზე ქართველებმა ქულათა ჯამი ორით გაზარდეს, მაგრამ წინ წასაწევად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა — სხვა გუნდებმა თავიანთი მარაგი უფრო შეავსეს.

რეიტინგის ლიდერი კი ისევ შეიცვალა — ორთვიანი პაუზის შემდეგ ბრაზილიელებს თამაღობა იტალიელებმა ჩამოართვეს. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონებმა კი იმდენი ქულა დაკარგეს, რომ მეორე ადგილზეც ვერ დარჩნენ.

ჩვენი მეტოქეებიდან კი რეიტინგში გარკვეული ცვლილებები საფრანგეთი — შოტლანდიის სენსაციურმა შედეგმა (0:1) შეიტანა: ფრანგებმა ორი ადგილი დაკარგეს, ხოლო სქოთებმა 9 ადგილით წაიწიეს და ათეულს საგრძნობლად მიუახლოვდნენ.

უკრაინამ, ლიტვამ და ფარერებმა ვარდნა განიცადეს და, შესაბამისად ორი, რვა და სამი ადგილი დაკარგეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

Coca-Cola
FIFA WORLD RANKING

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | 3 | იტალია | 1488 |
| 2 | 2 | არგენტინა | 1451 |
| 3 | 1 | ბრაზილია | 1444 |
| 4 | 5 | გერმანია | 1330 |
| 5 | 7 | ჰოლანდია | 1246 |
| 6 | 4 | საფრანგეთი | 1220 |
| 7 | 8 | ესპანეთი | 1178 |
| 8 | 10 | პორტუგალია | 1169 |
| 9 | 12 | ინგლისი | 1165 |
| 10 | 8 | ხორვატია | 1151 |
| 14 | 23 | შოტლანდია | 1025 |
| 17 | 15 | უკრაინა | 900 |
| 84 | 78 | ლიტვა | 398 |
| 104 | 103 | საქართველო | 327 |
| 193 | 190 | ფარერები | 17 |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა

დღეს კვიპროსის „ანართოსისს“ უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის ლონდონის „უაით ჰართ ლეინზე“ — უეფას თასზე „ტოტენჰემს“ ხვდება. თუ მოხდა სენსაცია და ეს ეტაპი გაიარა, თემურ ქეცბაიას გაწვრთნილი გუნდი უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდება.
თემური უიმედოდ როდია, აკი, „ანართოსისმა“ უეფას თასის განვლილი ორი ეტაპი იოლად გადალახა და ჩემპიონატშიც ლიდერობს. ცხადია, ქეცბაიას ქართული ფეხბურთის დღევანდელ მდგომარეობაზეც ვკითხეთ და საინტერესო საუბარიც გამოგვივიდა...

# თემურ ქეცბაია: ვერ გეტყვით, რა კრიტერიუმით ზომავენ ფედერაციაში მწვრთნელის მუშაობას




— უეფას თასზე ლონდონის „ტოტენჰემს“ ხვდებით და რა შანსები გაქვთ?

— თქმა არ უნდა, ძნელი მატჩი გველის. „ტოტენჰემში“ ბევრი ძლიერი ფეხბურთელი თამაშობს და ისინი ფავორიტები არიან, მაგრამ ხომ იცით, ყოველთვის ფავორიტი ვერ იმარჯვებს. იმედი მაქვს, „ანართოსისი“ თავს არ შეირცხვენს და ბოლომდე იბრძოლებს.

— თქვენ ინგლისის ჩემპიონატში რამდენიმე წელი გამოდიოდით და კარგად იცით, როგორ თამაშობენ იქაური კლუბები...

— ინგლისის პრემიერლიგა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. კონკრეტულად „ტოტენჰემი“ შეიძლება დღეს ისე ვერ თამაშობს, როგორც მის ხელმძღვანელებს სურთ, მაგრამ ამ გუნდს პოტენციალი გააჩნია — რობინსონი, ჯენასი, კინი და განსაკუთრებით, ბერბატოვი მაღალი კლასის ფეხბურთელები არიან.

— „ანართოსისმა“ კი კვიპროსის ჩემპიონატი კარგად დაიწყო...

— სტარტი მართლაც კარგი გვაქვს. ორი ტური ჩატარდა და ორივეში ვიმარჯვეთ. „ენოსისი“ და ნიქოზიის „აპოელი“ დავამარცხეთ. ეს გამარჯვებები გუნდს რწმენას მატებს, რაც „ტოტენჰემთან“ მატჩის წინ ძალიან მნიშვნელოვანია.

— საქართველოს ნაკრების ბოლო შეხვედრებს თუ უყურეთ?

— სამწუხაროდ, მატჩების ნახვა ვერ მოვახერხე, მაგრამ გარკვეულ ინფორმაციას ვფლობ. ფაქტია, ამ შედეგებით ვერ დავიკვეხნით. ნაკრებში რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოჩენილა, თუმც მარტო ახალგაზრდებით ფონს გასვლა ძნელია.

— საქართველოში უკვე ღიად ლაპარაკობენ, რომ კლაუს ტოპმიოლერს კონტრაქტს გაუგრძელებენ...

— თუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ის შედეგი აკმაყოფილებს, რასაც დღევანდელი ნაკრები აჩვენებს, არ ვიცი. ვერ გეტყვით, რა კრიტერიუმით ზომავენ ფედერაციაში მწვრთნელის მუშაობას. ფარერების მეტს ვერავის მოვუგეთ და ეს არის კარგი? ეროვნულ ნაკრებში ქართველ მწვრთნელებს გაცილებით კარგი შედეგები ჰქონდათ, მაგრამ ყველას გვახსოვს, როგორ გაუშვეს ისინი ნაკრებიდან.

— და საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატზე რა ინფორმაცია გაქვთ?

— შედეგების მიხედვით, საკლუბო და სანაკრებო დონე საქართველოში ცუდ დღეშია. ვერც ერთი კლუბი ევროთასებზე ვერ ახერხებს ნორმალური თამაშის ჩვენებას. ქართულ ფეხბურთში უამრავი რამეა გასაკეთებელი. ვისაც ჩვენი ფეხბურთი აბარია, საქმეს პროფესიონალურად უნდა მოეკიდოს. სხვანაირად წინსვლა კიდევ დიდხანს არ იქნება.

— ფეხბურთიდან კი კვიპროსელებმა გაგაცილეს — „ანართოსისმა“ მშვენიერი საჩუქარი გაგიკეთათ წასვლის წინ. ნეტავ, საქართველოში როდის მოვა ის დრო, როცა ფეხბურთელებს ღირსეულად გააცილებენ...

— ფეხბურთელისთვის ამაზე დიდი საჩუქარი არ არსებობს. ასეთი რამის გაკეთებას ვერავის დაავალებ — ინიციატივა თვითონ კლუბიდან და ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციიდან უნდა მოდიოდეს, მაშინ არის ეს ყველაფერი ლამაზი.

**ნუკრი ლოლაძე**

კახა კალაძესთან ეს ინტერვიუ მილანელოშია ჩაწერილი და „მილანის“ საკლუბო ტელევიზიით გადაიცა. ხოლო კითხვების ავტორები გულშემატკივრები არიან.
სხვათა შორის, კახა კალაძე პირველი ფეხბურთელია, რომლის ინტერვიუც ამ სეზონში „მილანის“ არხით გადაიცა...



# კახა კალაძე: პირველი მილანელი მილანის არხზე

— კახა, რამდენად მოგწონთ ცენტრალური მცველის პოზიციაზე თამაში?

— ყველაზე მეტად ეს პოზიცია მომწონს. ბავშვობაშიც ცენტრალურ მცველად ვთამაშობდი და საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც ცენტრალური მცველი ვარ. თუმც სხვა პოზიციებზეც მითამაშია.

— ჩემპიონთა ლიგა ორჯერ მოიგეთ. რომელი უფრო დასამახსოვრებელი იყო?

— რა თქმა უნდა, ორივეჯერ ძალიან ბედნიერი ვიყავი, მაგრამ პირველი მოგება სრულიად გამორჩეული გრძნობაა. იქამდე ხომ ასეთი სიხარული არასდროს განმეცადა.

— პაოლო მალდინი არასდროს ნებდება. მისი მაგალითი თქვენთვის გადამდებია?

— დიახ, პაოლო არასდროს ნებდება და მისნაირი მოთამაშეები ბევრნი არ არიან. ის ახლა 39 წლისაა. არა მგონია, რომ მეც ამდენ ხანს ვითამაშო, თუმც წინასწარ რამის თქმა ძნელია — მალე 30-ის გავხდები და, ვფიქრობ, ექვსიშვიდი წელი კიდევ შევძლებ თამაშს.

— რას ნიშნავს ის ტატუ, რომელიც მხარზე გაქვთ?

— იაპონური იეროგლიფებია, რომელიც „მუდამ მეგობრებს“ ნიშნავს. ხოლო ვეფხვის გამოსახულება მაშინ გავიკეთე, როდესაც ჭაბუკი ვიყავი. მაშინ კიევის „დინამოში“ ვთამაშობდი.

— ანდრეი შევჩენკოს „მილანში“ დარჩენაზე დაყაბულება არ გიცდიათ?

— ყოველთვის და ყველასთვის სამწუხაროა მისნაირი დიდი მოთამაშის წასვლა. მაგრამ შევჩენკომ თავისი არჩევანი გააკეთა და ამას უნდა შევეგუოთ. ცხოვრება გრძელდება.

— კიევის „დინამოს“ როგორ შეაფასებთ?

— „დინამო“ ყოველთვის დიდი გუნდი იყო და უმაღლესი დონის ფეხბურთელები ჰყავდა. თუ გახსოვთ, რვა წლის წინ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალშიც გავიდა. მერე ნელ-ნელა საუკეთესო ფეხბურთელები წავიდნენ, მათ შორის, შევჩენკო. ახლა „დინამოში“ ახალგაზრდა ფეხბურთელები თამაშობენ.

— როგორი გამოხმაურება მოჰყვა საქართველოსა და უკრაინის მატჩს?

— ძალიან კარგი.

## დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება

www.pfl.ge

**ზუგდიდი. 18 სექტემბერი. 16 საათი. გ. თუთბერიძე. 1 500 მაყურებელი**
**მგლები 1:1 დილა**
0:1 ტლაშაძე (26), 1:1 დ. ქირია (85)
მგლები: ივარდავა, ექონია, მაჭავარიანი (კუტალია 68), ფარულავა, კაკაბაძე, დ. ქირია, ჯოჯუა, ვართაგავა (გაბედავა 63), ხუბუა, კრასოვსკი, ბაკარანძე (ლიპარტია 74)
სათადარიგოები: ჭითანავა, ნარსია, ქომეთიანი, წურწუმია
მწვრთნელი: ბესიკ შეროზია
დილა: თ. ილურიძე, ი. კობახიძე (მასურაშვილი 75), ლაცაბიძე, დ. ხანიშვილი, ბალაშვილი, ნ. ნოზაძე, სადალაშვილი, ტლაშაძე, ბ. ჩიტაია, შერმადინი (კურტანიძე 73), სამადაშვილი (ლ. თურმანიძე 89)
სათადარიგოები: კეზხუაშვილი, ი. თაყაძე, ი. ლომიძე, იჩქითი
მწვრთნელი: მამუკა ვარდოსანიძე
გაფრთხილება: ტლაშაძე (71), ილურიძე (76), კურტანიძე (89)
მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი, ბ. ჭიჭინაძე, ი. კაკაბაძე, გ. დოგრაშვილი

**ზესტაფონი. 18 სექტემბერი. 16 საათი. ცენტრალური. 1 000 მაყურებელი**
**ზესტაფონი 4:0 კახეთი**
1:0, 2:0 გ. ჭელიძე (23, 28), 3:0 კვასხვაძე (47), 4:0 ბიტოო (55)
ზესტაფონი: რ. კვასხვაძე, ს. თოდუა, საჯაია, ლობჟანიძე, რ. ონიანი, კესანი, ჟონატასი, ვიეირა, ბ. გოცირიძე (ფიფია 46), ბიტოო (გ. ხიდეშელი 58), გ. ჭელიძე (ნ. კვასხვაძე 38)
სათადარიგოები: ჯალაღონია, დაუშვილი, შ. ლონლაძე, იონანიძე
მწვრთნელი: თემურ მახარაძე
კახეთი: ოთარაშვილი, ხიდაშელი, გ. გიგავა, იოსებაშვილი (კუპრაშვილი 46), მურველაშვილი, ლ. გიგაური, თიგიშვილი, ტეტიაშვილი, ახალბედაშვილი, ბურნაძე, მაჩაიძე
სათადარიგოები: ჯიქურიშვილი, ჩუთლაშვილი, გ. ლომიძე
მწვრთნელი: გიგლა იმნაძე
მსაჯები: პ. დოგრაშვილი, ნ. რუსიშვილი, კ. ბერიძე, კ. ჭაჭუა

**ბორჯომი. 18 სექტემბერი. 16 საათი. ჯ. ზეინკლიშვილი. 500 მაყურებელი**
**ბორჯომი 2:0 ბათუმი**
1:0, 2:0 გრიგალაშვილი (29, 84)
ბორჯომი: შეყრილაძე, ქარქუზაშვილი, ლ. ჭელიძე, თ. ლონლაძე, ლ. მერებაშვილი, მემარნიშვილი (ნ. ლომიძე 87), ბაბუნაშვილი, ნერგაძე, კ. ხანიშვილი (ნასყიდაშვილი 69), შ. გრიგალაშვილი, შ. ჯიქია (თედიაშვილი 83)
სათადარიგოები: გლუნჩაძე, ნ. დევიძე, დ. გოგიჩაიშვილი, ყველაშვილი
მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე
ბათუმი: თოთლაძე, ლ. მახარაძე, ა. ბაჯელიძე, გალოგრე, მაკარიანი, ი. ტულუში (მამულაძე 66), ზ. ჭელიძე, ბეჟანიძე, დარჩიძე (ხაჩიძე 72), ოქრუაშვილი (ბაციკაძე 56), კაკალაძე
სათადარიგოები: მამინაშვილი, ბ. მახარაძე, ფუტკარაძე
მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე
გაფრთხილება: ბაჯელიძე (28), ლონლაძე (89)
მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, გ. ჩიგოგიძე, ს. სპიცინი, ა. ნონიკაშვილი

*„მესხეთი“ — „სპარტაკის“ (1:0) მატჩის ოქმს საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა დღეს მოგვაწვდის*

# უეფას თასი 2007-08. მესამე ეტაპი. პირველი მატჩები

ლიტექსი (ბულგარეთი) 0:1 ჰამბურგი (გერმანია)
0:1 კასტელენი (75)

დღეს

ლანსი (საფრანგეთი) — კოპენჰაგენი (დანია)
არტმედია (სლოვაკეთი) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
სპარტა (ჩეხეთი) — ოდენსე (დანია)
ემპოლი (იტალია) — ციურიხი (შვეიცარია)
სოშო (საფრანგეთი) — პანიონიოსი (საბერძნეთი)
ანდერლეხტი (ბელგია) — რაპიდი (ავსტრია)
ფერეირა (პორტუგალია) — ალკმაარი (ჰოლანდია)
ზენიტი (რუსეთი) — სტანდარდი (ბელგია)
ლევერკუზენი (გერმანია) — ლეირია (პორტუგალია)
ვილიარეალი (ესპანეთი) — ბატე (ბელარუსი)
სიონი (შვეიცარია) — გალათასარაი (თურქეთი)
ატლეტიკო (ესპანეთი) — ერჯიესი (თურქეთი)
ტამპერე (ფინეთი) — ბორდო (საფრანგეთი)
ხეტაფე (ესპანეთი) — ტვენტე (ჰოლანდია)
გროცლინი (პოლონეთი) — ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)
მიდტიულანდი (დანია) — ლოკომოტივი (რუსეთი)
გრონინგენი (ჰოლანდია) — ფიორენტინა (იტალია)
რაბოტნიჩკი (მაკედონია) — ბოლტონი (ინგლისი)
აეკ (საბერძნეთი) — ზალცბურგი (ავსტრია)
ნიურნბერგი (გერმანია) — რაპიდი (რუმინეთი)
ევერტონი (ინგლისი) — მეტალისტი (უკრაინა)
ტოტენჰემი (ინგლისი) — ანართოსისი (კვიპროსი)
სარაევო (ბოსნია) — ბაზელი (შვეიცარია)
აუსტრია (ავსტრია) — ვოლერენგა (ნორვეგია)
ჰ. თელ ავივი (ისრაელი) — აიკ (შვედეთი)
არისი (საბერძნეთი) — სარაგოსა (ესპანეთი)
დინამო (რუმინეთი) — ელფსბორგი (შვედეთი)
ლოკომოტივი (ბულგარეთი) — რენი (საფრანგეთი)
ბრანი (ნორვეგია) — ბრიუგე (ბელგია)
ბაიერნი (გერმანია) — ბელენენსეში (პორტუგალია)
აბერდინი (შოტლანდია) — დნიპრო (უკრაინა)
ჰერენვენი (ჰოლანდია) — ჰელსინგბორგი (შვედეთი)
ტულუზი (საფრანგეთი) — ცსკა (ბულგარეთი)
სამპდორია (იტალია) — ოლბორგი (დანია)
სპარტაკი (რუსეთი) — ჰეკენი (შვედეთი)
ჰამარბი (შვედეთი) — ბრაგა (პორტუგალია)
ლარისა (საბერძნეთი) — ბლექბერნი (ინგლისი)
ბოლესლავი (ჩეხეთი) — პალერმო (იტალია)
დინამო (ხორვატია) — აიაქსი (ჰოლანდია)



ფრანკ რიბერი და „ბაიერნი" უეფას თასისთვის ემზადებიან

## ჩვენი ბრალია

1996 წლის შემდეგ „ბაიერნი" უეფას თასზე პირველად ითამაშებს. წინა სეზონში გუნდი ისე აირია, რომ მეხუთე ადგილზე გავიდა და ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩა. ცხადია, „ბაიერნი" უმთავრესი ფავორიტია, მაგრამ კლუბის მენეჯერ ული ჰიონესს ეს შეჯიბრი გულზე არ ეხატება: „სირცხვილია, რომ ჩემპიონთა ლიგაში არ ვართ, მაგრამ ჩვენივე ბრალია. უეფას თასზე თამაში საკადრისი სასჯელია გასულ სეზონში ცუდი გამოსვლისთვის. მეორე მხრივ, ეს შეჯიბრია და ყურები არ უნდა ჩამოვყაროთ. მომავალ წელს ლიგაში დავბრუნდებით. „ბელენენსეში" „ბაიერნზე" სუსტია, მაგრამ მეტოქის სათანადოდ შეუფასებლობა არ ეგების".

„ბაიერნივით" ყველა ევროთასის მომგები „აიაქსიც" ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოხვდა და ბედს უეფას თასზე ცდის. ლიგის საკვალიფიკაციოში ამსტერდამელები პრაღის „სლავიასთან" დამარცხდნენ.

„აიაქსს" წილისყრაში არ გაუმართლა. რადგან მეტოქედ ამჯერად ზაგრების „დინამო" ერგო, რომელიც იოლად ჩასაყლაპი ლუკმა არ არის. ჰოლანდიურმა კლუბმა ჩემპიონატში ოთხიდან სამი მატჩი მოიგო და მეორე ადგილზეა.

უეფას თასის წინა გათამაშების ნახევარფინალისტი „ტოტენჰემი" თემურ ქეცბაიას „ანართოსისს" უმასპინძლებს. „ტოტენჰემმა" ნახევარფინალი „სევილიასთან" წააგო, რომელმაც მოიგო კიდეც თასი.

„მამლებმა" პრემიერლიგა ცუდად დაიწყეს და ექვს ტურში ერთი მოგებით ბოლოდან მეოთხეზე არიან. მიუხედავად ამისა, თვალი უეფას თასზე უჭირავთ და კლუბის სპორტულმა დირექტორმა დემიენ კომოლიმ განაცხადა: „ეს ტურნირი ჩვენთვის მნიშვნელოვანია და ფინალში გასვლას ვეცდებით. „სევილიასთან" წაგებით გული ძალიან დაგვწყდა, რადგან გვჯეროდა, რომ ჩვენი წყვილის გამარჯვებული თასსაც მოიგებდა და ასეც მოხდა".

მეორე ინგლისური კლუბი „ბლექბერნი", რომელიც პრემიერლიგაში დაუმარცხებელია, „ლარისას" ესტუმრება.

„საბერძნეთში თამაში ყოველთვის რთულია, რადგან ძალიან გულიანი ქომაგები ჰყავთ" — განაცხადა „ბლექბერნის" მწვრთნელმა მარკ ჰიუზმა.

უეფას თასს ერთადერთი შოტლანდიური კლუბი „აბერდინი" შემორჩა, რადგან „დანფერმლაინი" გავარდა. აბერდინელები „დნიპროს" უმასპინძლებენ, რომელმაც წინა ეტაპზე „ბელხატუვს" სძლია.

ამ ტურნირის დებიუტანტები არიან „ემპოლი" და „ხეტაფე". იტალიური გუნდი „ციურიხს" დაუხვდება, ესპანური კი „ტვენტეს". „ემპოლიც" და „ხეტაფეც" ჩემპიონატებში ბოლოსწინა ადგილზე არიან და ჯერ თამაში არ მოუგიათ.

ბოლოს კი ორიოდ სიტყვა „ერჯიესზე", რომელიც თურქეთის მეორე ლიგაშია, მაგრამ ქვეყნის თასი მოიგო და უეფაზეც ამიტომ თამაშობს. 2004-05-ის სეზონში გუნდს წითელ-ყვითელი ფორმა ეცვა, მაგრამ შარშან ზაფხულის ფერები შეცვალეს და შავ-ლურჯები გახდნენ. ექვსი თვის წინ „ერჯიესის" მწვრთნელად თურქეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ბიულენთ ქორქმაზი დანიშნეს...

„ვფიქრობ, რომ „ატლეტიკო" ძლიერ მეტოქედ მიგვიჩნევს, რადგან ჩვენი თამაშის სანახავად იყვნენ ჩამოსულნი".

**ვაჟა ხუციშვილი**

## კანმა ლემანს ვიზეთი შეუტია

მიუნხენის „ბაიერნის" მეკარე ოლივერ კანი დარწმუნებულია, რომ მის ვერდერელ კოლეგას ტიმ ვიზეს ნაკრების პირველმეკარეობა შეუძლია. ბაიერნელის აზრით, ვიზემ იენს ლემანი უნდა ამოაგდოს ძირითადი შემადგენლობიდან და ევრო 2008-ზე ითამაშოს. ეს ცოტა საეჭვოა, რადგან „ვერდერის" გოლკიპერს იოახიმ ლიოვი ნაკრებში არ უხმობს, რის გამოც ვიზე მწვრთნელს გაუწყრა კიდეც.

მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატზე თვითონ ოლივერ კანი სათადარიგო იყო, რაკი იურგენ კლინსმანმა მას იენს ლემანი არჩია.

„ეროვნული გუნდის მეკარე თავისი კლუბის ძირითად შემადგენლობაში მუდმივად უნდა თამაშობდეს — განაცხადა კანმა — ამ მოთხოვნას ტიმ ვიზე სრულად აკმაყოფილებს. იგი უკვე რამდენიმე წელია, „ვერდერის" მთავარი მეკარეა ბუნდესლიგაშიც და ჩემპიონთა ლიგაშიც, თუმცა რატომღაც ნაკრებში არ იწვევენ".

იენს ლემანმა პრემიერლიგის ორ მატჩში ამდენივე შეცდომა მიითვალა, რის გამოც „არსენალმა" ოთხი ქულა დაკარგა. მიუხედავად ამისა, იოახიმ ლიოვმა 37 წლის ლემანი ევროშესარჩევებში ათამაშა. იმავდროულად, არსენ ვენგერმა აღარ დააყენა ძირითადში და უკვე ორი ტურია, კარს მანუელ ალმუნიას ანდობს.

ბუნდესნაკრების მეორე მეკარე ტიმო ჰილდებრანდი „ვალენსიაშია", მაგრამ სათადარიგოებში ზის.

„ამჟამად ვითარება ძალიან მაღარდებს — თქვა კანმა — ლემანს „არსენალში" არ ათამაშებენ, მაგრამ ლიოვი მაინც ენდობა, ეს კი დაუშვებელია".

**ვაჟა ხუციშვილი**

## ბერლუსკონის სურვილი



ჩემპიონთა ლიგის მოქმედი გამარჯვებულის, „მილანის" პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ „ლა გაძეტა დელო სპორტთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ წლეულსაც ფინალში თავისი გუნდის გასვლის იმედი აქვს. დონ სილვიოს ფავორიტი სავარაუდო მეტოქეები „ბარსელონა" და მადრიდის „რეალი" არიან.

„ვისთან ვოცნებობ მოსკოვის ფინალში ძალების მოსინჯვას? რომელიმე დიდ გუნდთან, მაგალითად „ბარსელონასთან" ან მადრიდის „რეალთან" — აღნიშნა ბერლუსკონიმ. თუმცა „მილანის" თავკაცს არც თანაქალაქელი მარადიული მტერი დავიწყებია: „ფინალში „ინტერთან" ჯახიც კარგი იქნება. გულწრფელად ვუსურვებ „ინტერნაციონალეს" პრეზიდენტ მასიმო მორატის, მისი გუნდი ფინალამდე მისულიყოს. თუმცა იქ უკვე ჩვენთან ექნება საქმე, „მილანი" კი წლეულს ყველაფრის მოგებას აპირებს".

**ლადო ხომერიკი**

## ჰილ-ვუდი: რუსი არ გვინდა!

ლონდონის „არსენალის" პრეზიდენტმა პიტერ ჰილ-ვუდმა განაცხადა, რომ რუსი ბიზნესმენი ალიშერ უსმანოვი კლუბს ვერ დაეპატრონება.

„მე ამერიკელი სტენ კრონკე უფრო წარმომიდგენია „არსენალის" დიდ მეწილედ, ვიდრე რუსი ალიშერ უსმანოვი. კრონკე სპორტში და კერძოდ, ფეხბურთში კარგად ერკვევა, რუსისა კი ვერაფერი გავიგე და არ ვიცი, რა უნდა. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ დირექტორთა საბჭო ალიშერ უსმანოვს კლუბს არ მიჰყიდის".

შეგახსენებთ: რუსმა ბიზნესმენმა „არსენალის" აქციათა 21 პროცენტი უკვე შეიძინა და საკონტროლო პაკეტით ხელში ჩაგდებას ლამობს.

## ოთხმატჩიანი იდაყვი

გერმანიის ფეხბურთის კავშირმა ტიმოტე ატუბა ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

„ჰამბურგის" მცველმა გასულ შაბათს სტუმრად „აინტრახტთან" შეხვედრაში მასპინძელ ალბერტ შტრეიტს სახეში იდაყვი უთავაზა. ეს ვერ შეამჩნია მსაჯმა, მაგრამ კამერამ „დაიჭირა", თამაში კი „აინტრახტმა" 2:1 მოიგო — „ჰამბურგს" კოტდივუარელი მცველი გიდემელიც დისკვალიფიცირებული ჰყავს, რომელიც ოთხმატჩიან სასჯელს იხდის.

## დაგვეხმარეთ!

უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ ევროკავშირის ქვეყნების მეთაურებს წერილი გაუგზავნა.

ლეგენდარული ფრანგი შეშფოთებულია იმით, რომ ძალიან მომრავლდნენ ფეხბურთის უცოდინარი ბიზნესმენები, რომლებიც კლუბებს ყიდულობენ.

ასე თუ გაგრძელდა ფეხბურთი — მომგებიან ბიზნესად იქცევა და თამაში მოკვდება.

ფულიანი კლუბები უძლიერეს ფეხბურთელებს ყიდულობენ, რითაც ბალანსი ირღვევა, სწორედ ეს აღელვებს პრეზიდენტს და ევროკავშირს კანონებით დახმარებას სთხოვს.

**ვაჟა ხუციშვილი**

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

## ჩემპიონთა ლიგა 2007-2008. ჯგუფური ეტაპი. I ტური

# დამშვიდდი, ჯერმენ!



„მარსელი" ხარობს

A ჯგუფი

**პორტუ 1:1 ლივერპული**

**1:0 ლ. გონსალესი (83), 1:1 კუიტი (17)**
**პორტუ: ნუნუ, ბრუნო ალვეში, ბოსინგვა, ფუსილე, ჟოაო პაულუ, ასუნსაო, ლ. გონსალესი, მეირელეში (მ. გონსალესი 64), კვარესმა, ლოპესი, სეკტიუ (ფარიასი 64)**
**მწვრთნელი: ჟესუალდო ფერეირა**
**ლივერპული: რეინა, ფინანი, ჰიიპია, არბელოა, კარაგერი, პენანტი, მასკერანო, ჯერარდი, ბაბელი (აურელიო 85), ფ. ტორესი (ვორონინი 76), კუიტი**
**მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი**
**გაფრთხილება: ბოსინგვა, პენანტი, ტორესი, მასკერანო, კუიტი**
**გაძევება: პენანტი (58)**
**მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)**
**41 208 მაყურებელი**

**„შეცდომებზე** უნდა ისწავლოთ" — უთხრა რაფაელ ბენიტესმა შეგირდებს „პორტუსთან" მატჩის შემდეგ, რომელშიც სტუმრებს ჯერმენ პენანტი გაუძევეს და ნახევარ საათზე მეტი კაცნაკლულები თამაშობდნენ. პენანტი მასპინძელ ფუსილეს ეუხეშა, როცა მცველი საჯარიმოდან ბურთის გამოტანას აპირებდა.

„მსაჯი სწორად მოიქცა — განაცხადა „ლივერპულის" მწვრთნელმა — ჯერმენმა წაისულელა და თავის შეცდომებზე უნდა ისწავლოს. ეს გაკვეთილი სამომავლოდ გამოადგება. არაერთხელ ვთხოვე, მშვიდად იყავი-მეთქი, მაგრამ ვერ გავაგებინე".

თამაშით უკმაყოფილო დარჩა კაპიტანი სტივენ ჯერარდი: „ძალიან ცუდად დავიწყეთ და დალაგება ვერ მოვახერხეთ, მაგრამ ფრე ურიგო შედეგი არაა. ჩემპიონთა ლიგაში სტუმრად ქულის აღებაც კარგია".

მე-8 წუთზე სეკტიუ რეინასთან პირისპირ გავიდა, მეკარემ წააქცია და ლუჩო გონსალესმა პენალტი გაიტანა. „ლივერპულმა" მალევე უპასუხა. სტივ ფინანმა საჯარიმო ჩააწოდა, ჰიიპიამ ბურთი თავით კუიტს მიაწოდა და ჰოლანდიელმაც თავით ახლოდან გაიტანა.

— „მარსელის" და „ბეშიქთაშის" თამაში არ მინახავს და ჯერ ვერ ვიტყვი, ჯგუფში რომელი გუნდია საუკეთესო — თქვა ბენიტესმა — ჩვენ ძლიერ მეტოქეს შევხვდით და ქულით კმაყოფილები უნდა ვიყოთ. მით უმეტეს, რომ ათი კაცით დავრჩით. არ ვიცი, რატომ ვერ ვითამაშეთ კარგად პირველ ტაიმში და რატომ ცდებოდნენ ხშირად ფეხბურთელები".

„პორტუს" თავკაც ჟესუალდო ფერეირას სჯერა, რომ ამ მატჩის შემდეგ მის გუნდს თავდაჯერება შეემატება.

„ფრე კარგია, მაგრამ გული მწყდება, რომ კაცნაკლულ მეტოქესთან ვერ მოვიგეთ. ეს ჩვენი პირველი მატჩი იყო და ბიჭებმა სახელოვან „ლივერპულთან" ტოლ-სწორად ითამაშეს".

**მარსელი 2:0 ბეშიქთაში**

**1:0 როდრიგესი (76), 2:0 სისე (90)**
**მარსელი: მანდანდა, ბონარი, ჟ. როდრიგესი, ფატი, ტაივო, ნასრი (მბამი 88), კანა, ზენდენი (ვალბუენა 75), ზიანი, ნიანგი (გრანიჩი 85), ჯ. სისე**
**მწვრთნელი: ალბერ ემონი**
**ბეშიქთაში: არიკანი, კურტულუში (კაში 25), დიატა, ტორამანი, უზულმეზი, იოზკანი, ე. სისე, რიკარდინიო (ავჯი 45), დელგადო (ფ. იგუაინი 75), ტელო, ბობო**
**მწვრთნელი: ერტუღრულ საღლამი**
**გაფრთხილება: ფატი, როდრიგესი, ჯ. სისე, ნასრი, კაში, ავჯი**
**მსაჯი: მატეო ტრეფოლონი (იტალია)**
**50 000 მაყურებელი**

„მარსელმა" სეზონში პირველი საშინაო მატჩი მოიგო. საათზე მეტხანს ვერ ახერხებდნენ მასპინძლები გატანას, მაგრამ ძელი დაეხმარათ — სამირ ნასრიმ კუთხური ჩააწოდა, ბურთი ძელიდან ჟულიენ როდრიგესს მიუვიდა და მცველმაც ახლოდან შეაგდო. ბოლო წუთზე ჯიბრილ სისემ მეტოქეები გადაჯვგა და მარჯვენა დაბალ კუთხეში გაიტანა.

ალბერ ემონის გუნდი მთელი თამაში სჯობდა სტუმრებს.

„ახლა თავს უკეთ ვგრძნობთ — თქვა ემონმა — ჩემპიონატში ვერ ვყოჩაღობთ, მაგრამ ამ გამარჯვებამ საკუთარი თავის რწმენა ყველას დაგვიბრუნა. ფეხბურთელებმა პირველიდან ბოლო წუთამდე იბრძოლეს".

„ბეშიქთაშის" მწვრთნელი ერტუღრულ საღლამი: „მომენტები ვერ შევქმენით და იღბალმაც გვიგანა. მეტოქე უხეშობდა, მსაჯი კი ხშირად სცოდავდა".

სტუმრებს პირველ ტაიმში ორი ფეხბურთელი დაუშავდათ და მარსელელთა უხეშობის გამო და საღლამმაც მსაჯი ამიტომ ახსენა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჯერ რუსენბორგს მოუგეთ...

B ჯგუფი

**ჩელსი 1:1 რუსენბორგი**

**0:1 კოპინენი (24), 1:1 შევჩენკო (53)**
**ჩელსი: ჩეხი, ბელეტი, ტერი, ალექსი, ე. კოული (ბენ ჰაიმი 73), ჯ. კოული (რაიტ-ფილიპსი 75), მაკელელე, ესიენი, მალუდა, შევჩენკო, ს. კალუ**
**მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ**
**რუსენბორგი: პირშელდი, კოპინენი, ბასმა (კვარმე 46), დორსინი, სტრანდი, რისეტი, სკიელბრედი (ივერსენი 84), ტეტი, საპარა (კონანი 69), ტრაორე, ი. კონე**
**მწვრთნელი: კნუტ ტიორუმი**
**გაფრთხილება: ალექსი, დორსინი, კონე**
**მსაჯი: ლორან დიამელი (საფრანგეთი)**
**24 973 მაყურებელი**

**ჩემპიონთა** ლიგა ექვს წელიწადში ორჯერ უნდა მოიგოთო — თქვა „ჩელსის" პატრონმა რომან აბრამოვიჩმა სამშაბათს. იმავე დღეს მისმა გუნდმა ჯგუფში უსუსტესად მიჩნეულ „რუსენბორგთან" ფრე გაახერხა. მასპინძლები სირცხვილისგან ანდრეი შევჩენკომ იხსნა, ვისაც ჟოზე მაურინიუ არ სწყალობს. უკრაინელმა ფორვარდმა 90-ე სალიგო მატჩში 56-ე გაიტანა, სულ კი ევროთასებზე 60 მოაგროვა და გერდ მიულერამდე (62) ორიღა უკლია.

„ჩელსიმ" ოცი საგოლე მომენტი შექმნა და ერთი გამოიყენა, „რუსენბორგმა" კი ერთიდან ერთით ისარგებლა — სლოვაკი საპარას ჩაწოდებული ბურთი ფინელმა კოპინენმა ერთი შეხებით შეაგდო მასპინძელთა კარში, რომლებმაც მანამდე 11 სალიგო მატჩში 3 გოლი გაუშვეს.

შევჩენკომ თავურით ცხრიანში გაიტანა და გაათანაბრა, რასაც შტურმი მოჰყვა, მაგრამ პირშელდის კარში ბურთი აღარ შევიდა.

ჟოზე მაურინიუს საქებარი სიტყვა მაინც არ დასცდა შევჩენკოზე, რომელმაც „ჩელსიში" 52 მატჩში 14 გოლზე მეტი ვერ მიითვალა.

„ჩემმა გუნდმა ვერ მოიგო — თქვა პორტუგალიელმა — შევჩენკო ამ გუნდის ნაწილია და ცალკეულ ფეხბურთელზე ლაპარაკს არ ვაპირებ. ძალიან გაწბილებული ვარ, 20 მომენტიდან ერთი გამოვიყენეთ. მეორის გასატანად, ალბათ, 40 უნდა შეგვექმნა და 60 — მესამისთვის. ყველაზე ცუდი ისაა, რომ ბოლო სამ მატჩში შემტევი ფეხბურთი ვითამაშეთ და ერთ გოლზე მეტი ვერ შევაგდეთ. ესაა რეალობა. გუნდის გოლების 50 პროცენტზე მეტი ლამპარდსა და დროგბაზე მოდის და მათ გარეშე რანი ვართ, ახლა გამოჩნდა. ორივე ტრავმირებულია და ექიმებისგანაც კარგი არაფერი ისმის. ისღა დამრჩენია, ამ შემადგენლობით ვიბრძოლოთ."

საუცხოო განწყობაზე იყო „რუსენბორგის" მწვრთნელი კნუტ ტიორუმი: „ძალიან კმაყოფილი ვარ გუნდის თამაშითაც და შედეგითაც. ბიჭებმა დავალება ზედმიწევნით შეასრულეს და იღბალიც ჩვენსკენ იყო, რადგან „ჩელსიმ" ბევრი მომენტი ვერ გამოიყენა."

**შალკე 0:1 ვალენსია**

**0:1 ვილია (63)**
**შალკე: ნოიერი, რაფინია (გროსმიულერი 73), ვესტერმანი, ბორდონი, პანდერი, ერნსტი, რაკიტიჩი, ჯონსი, ასამოა (იოზილი 61), ჰალილ ალტინტოპი (ლოვენკრანდსი 73), კურანი**
**მწვრთნელი: მირკო სლომკა**
**ვალენსია: კანისარესი, მიგელი, ალბიოლი, მარჩენა, მორეტი, ელგერა, ალბელდა, დ. სილვა, ანგულო (ხოაკინი 74), მორიენტესი (არისმენდი 79), ვილია (სანი 90)**
**მწვრთნელი: კიკე სანჩეს ფლორესი**
**გაფრთხილება: ალბელდა, მარჩენა, ბორდონი, გროსმიულერი, მორეტი**
**მსაჯი: იან ვეგერეფი (ჰოლანდია)**
**53 951 მაყურებელი**

დავიდ ვილიამ ორიდან ერთი მომენტი გამოიყენა და „ვალენსიამ" „შალკეს" მოუგო, რომლის მწვრთნელიც დისკვალიფიცირებული იყო და ტრიბუნაზე იჯდა.

სტუმართა ფორვარდმა მიგელისგან პასი მიიღო, ნოიერთან პირისპირ გავიდა, გასცდა და ბურთი ცარიელ კარში შეაგორა.

მასპინძელ კევინ კურანის პირველ ტაიმში ორჯერ შეეძლო გატანა, მაგრამ თავითაც და ფეხითაც კარს აცილა. შეცვლაზე შესულ პიტერ ლოვენკრანდსს მართებდა გათანაბრება და მანაც კურანის მიჰბაძა — ახლოდან არაზუსტად დაარტყა.

მატჩში იყო ბევრი აბდაუბდა პასი და ჩაწოდება. ფეხბურთელები უხეშობითაც გამოირჩნენ და 54 ათასმა კაცმა საინტერესო ვერაფერი იხილა.

„ვალენსიას" მწვრთნელი კიკე ფლორესი, ცხადია, შედეგით კმაყოფილი დარჩა: „ჩვენ გუნდური სულის ხარჯზე ვიმარჯვეთ" — თქვა მან, ხოლო მირკო სლომკას თანაშემწე ოლივერ რეკმა განაცხადა: „სტუმრებს ერთი კარგი შანსიც ეყოთ გასატანად, რაც მათ მაღალ კლასზე მეტყველებს."



ანდრეი შევჩენკო

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჩემპიონთა ლიგა 2007-2008. ჯგუფური ეტაპი. I ტური

# მადრიდული მუსიკა და რომაული სიზმარი

**C ჯგუფი**

**რეალი 2:1 ვერდერი**

**1:0 რაული (16), 1:1 სანოგო (17), 2:1 ვან ნისტელროოი (74)**

**რეალი: კასილიასი, რამოსი, კანავარო, მეცელდერი, მარსელო, გაგო, გუტი (დრენტე 77), სნეიდერი, გ. იგუაინი (რობინიო 69), რაული (რობენი 83), ვან ნისტელროოი**

**მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი**

**ვერდერი: ვიზე, პასანენი, მერტესაკერი, ნალდო, ტოსიჩი, ვრანიეში, ბაუმანი, დ. იენსენი, დიეგო, სანოგო, როზენბერგი (ალმეიდა 69)**

**მწვრთნელი: თომას შააფი**

**გაფრთხილება: ვან ნისტელროოი, ვრანიეში, დიეგო**

**მსაჯი: ჰოვარდ ვები (ინგლისი)**

**63 500 მაყურებელი**

**ჩემპიონთა** ლიგის ორმა მთავარმეგოლემ, რაულმა და რუუდ ვან ნისტელროოიმ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „რეალი“ გერმანული წყენისგან იხსნეს. რაულს ახლა 57 გოლი აქვს ლიგაში გატანილი, ჰოლანდიელს კი — 54 და მადრიდში კერკეტი „ვერდერი“ სწორედ მათ გატეხეს.

სიტუაცია კი ასეთი იყო — ბუნდესლიგაში არცთუ ისე დამაჯერებლად მოთამაშე „ვერდერი“ ესპანეთის სატახტოს რამდენიმე ტრავმირებული ფეხბურთელის გარეშე ესტუმრა. ბერნდ შუსტერმა კი გადაწყვიტა, „რეალის“ სასტარტო თერთმეტეულში გასულ ზამთარს მოსული მარსელო, გაგო და იგუაინი დაეყენებინა. ამ ბიჭებს „სამეფო გუნდში“ ჯერ თავიანთი ადგილი არ მოუძებნიათ და თავის გამოჩენის მიზნით, გერმანელებს მატჩის დასაწყისიდანვე ეკვეთნენ.



მარსელომ „ვერდერთან“ ბევრი იაქტიურა

AFP

„სანტიაგო ბერნაბეუს“ გამაყრუებელ ჟრიამულში ადგილობრივებმა ტიმ ვიზეს კარი მალე შელეწეს. მე-15 წუთზე რუუდ ვან ნისტელროოიმ კაპიტანს ჩააწოდა და გონსალეს ბლანკომაც თავურით გაიტანა. რაული იმ საღამოს შესანიშნავი გახლდათ და საგოლე ალღოთი თუ ჩინებული თამაშით უკვე მერამდენედ გააოცა ესპანეთი და დანარჩენი მსოფლიო.

„რეალის“ გოლმა ალემანები უმალვე გამოაფხიზლა. მადრიდელ ფანებს ჯერ საგოლე ფიესტა არ დაესრულებინათ, როცა ტოსიჩის პასის, კრისტოფ მეცელდერის დაბნეულობისა და სანოგოს დარტყმის შემდეგ გოლი ახლა თავის კარში იკერ კასილიასმა მიიღო.

შესვენებამდე მასპინძლებს, სულ ცოტა, 5 საგოლე ეპიზოდი ჰქონდათ, მაგრამ ვერც ერთი ვერ გამოიყენეს. მეორე ტაიმი კი „რეალის“ გულის გასახარად არ დაწყებულა — მარსელო ეფექტური ვერ იყო და თავი ვერც ფერნანდო გაგომ გამოიჩინა. ამასობაში რაული და ვან ნისტელროოი ვიზეს შეწუხებას ცდილობდნენ.

სანამ ჰოლანდიელი გაიტანდა, იქამდეც შეეძლოთ მადრიდელებს ანგარიშის გაზრდა. რაულმა სულგანაბული „ბერნაბეუს“ თვალწინ მეკარეს თავზე გადაუგდო ბურთი, თუმცა მიზანს ააცილა. მერე კი გუტის, რაულისა და ვან ნისტელროოის კომბინაცია გამარჯვების გოლით დასრულდა.

გერმანელებმა პასუხის გაცემა ვეღარ შეძლეს, თუმცა დიეგომ მატჩის ბოლოს კინაღამ ჩაამწარა ადგილობრივებს სალიგო ზეიმი.

**ოლიმპიაკოსი 1:1 ლაციო**

**1:0 გალეტი (55), 1:1 ძაური (77)**

**ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, პაცაცოლლუ (კოვაჩევიჩი 89), დომი, ჟევლაკოვი, ანცასი, ტოროსიდისი, სტოლტიდისი, გალეტი, ჯორჯევიჩი, რ. ლედესმა, ლუა ლუა**

**მწვრთნელი: პანაიოტის ლემონისი**

**ლაციო: ბალოტა, სტენდარდო, ძაური, კრიბარი, მაური (მუტარელი 60), კ. ლედესმა, მუდინგაი, დი სილვესტრი (სკალონი 81), მანფრედინი (დელ ნერო 70), როკი, პანდევი**

**მწვრთნელი: დელიო როსი**

**გაფრთხილება: პაცაცოლლუ, სტენდარდო, მუტარელი, ძაური**

**მსაჯი: ერიკ ბრაამჰარი (ჰოლანდია)**

**30 000 მაყურებელი**

იტალიელებმა საბერძნეთში უხუცესი ჩაიყვანეს — უმაყურებლო მატჩში „ლაციომ“ „ოლიმპიაკოსთან“ 43 წლის და 168 დღის მეკარე მარკო ბალოტა დააყენა.

შეხვედრა ფრედ მორჩა, ხოლო „ჭაღარა“ ბალოტამ ალესანდრო კოსტაკურტას რეკორდი მოხსნა და ყველაზე უხუცეს ფეხბურთელად იქცა, ვისაც ლიგაში ოდესმე უბურთავია.

სტადიონის ტრიბუნები „ოლიმპიაკოსის“ სანქციის გამო იყო ცარიელი, ხოლო ანგარიში მადრიდის „ატლეტიკოს“ ექსფეხბურთელმა გალეტიმ გახსნა. „ოლიმპიაკოსის“ არგენტინელმა თამაშგარედან გაიტანა, თუმცა მსაჯებმა ეს ვერ შენიშნეს.

„ლაციოს“ მხრიდან ყველაზე სახიფათო როკი და პანდევი იყვნენ, გოლი კი ძაურიმ შეაგდო. რომაელთა მარცხენა მცველი შეტევაში ჩაერთო და მეკარე ნიკოპოლიდისი გაამწარა.

თამაშის მერე მხცოვანმა მარკო ბალოტამ თქვა, წესით, მატჩი ჩვენ უნდა მოგვეგო, თუმცა „ლაციოსთვის“ ცუდი არც სტუმრად ალებული ქულააო.

**ლადო ხომერიკი**

# მილანი თავს ისე გრძნობს, როგორც შინ

**D ჯგუფი**

**მილანი 2:1 ბენფიკა**

**1:0 პირლო (9), 2:0 ინძაგი (23), 2:1 გომეში (90)**

**მილანი: დიდა, ოდო (ბონერა 81), ნესტა, კალაძე, იანკულოვსკი, გატუზო, პირლო, ამბროზინი, ზეედორფი (ემერსონი 75), კაკა, ინძაგი (ჯილარდინო 84)**

**მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი**

**ბენფიკა: კიმი, ლუიშ ფელიპე, ვიტორი (მანუ 73), ედკარლოსი, ლეო, პერეირა, კაცურანისი, რუი კოშტა (ნუნუ ასისი 87), კ. როდრიგესი, დი მარია, კარლოსი (ნუნუ გომეში 63)**

**მწვრთნელი: ხოსე ანტონიო კამაჩო**

**გაფრთხილება: ინძაგი, კარდოსო**

**მსაჯი: მაიკ რაილი (ინგლისი)**

**38 358 მაყურებელი**

**ჩემპიონთა** ლიგის მოქმედმა ტრიუმფატორმა „მილანმა“ ტურნირი დამაჯერებლად დაიწყო. „როსონერიმ“ საკმაოდ ძლიერ „ბენფიკასთან“ მშვენიერი თამაში აჩვენა და დამსახურებულად მოიგო. თუმცა პორტუგალიელები უშანსოდ ნამდვილად არ ყოფილან და მომენტები მათაც ჰქონდათ.

ამ მატჩში მილანელთაგან საუკეთესო ანდრეა პირლო გახლდათ. მან მე-9 წუთზე დაახლოებით 25 მეტრიდან, მეკარისგან ახლო ცხრიანში, ჩინებულად ჩაახვია ჯარიმიდან ბურთი. აქედან არცთუ დიდი დრო იყო გასული, როცა ოსკარ კარდოსომ ძალიან ახლოდან თავურით ხარიხა შეაზანზარა.

23-ე წუთზე „მილანს“ მშვენიერი კომბინაცია გამოუვიდა, პირლომ ზუსტად გადააწოდა ფილიპო ინძაგის, რომელმაც მშვენივრად დაარტყა და 2:0.

მომენტები კიდევ მრავლად იყო, ძირითადად, ლისაბონელთა კართან და „მილანმაც“ მშვიდად მიიყვანა მატჩი ლოგიკურ დასასრულამდე. თუმცა „ბენფიკამ“ მესამე წამატებულ წუთზე მაინც შეძლო ერთის გატანა — დაცვა ჩავარდა და ნუნუ გომეშიც კარგად ჩაუწვა გეორგიოს კაცურანისის გამჭოლ პასს.

„მილანის“ მწვრთნელი კარლო ანჩელოტი: „კარგი თამაში იყო და მომენტებში ბრწყინვალე ფეხბურთს ვაჩვენებდით. სამწუხაროა, რომ ბოლოს მაინც გავუშვით, ცოტა მეტი ყურადღება რომ გამოგვეჩინა, არც ეს მოხდებოდა და მეტსაც გავიტანდით. კლარენს ზეედორფმა და კაკამ მშვენივრად ითამაშეს და ჩინებულად ეხმარებოდნენ ფილიპო ინძაგის, ვინც ასევე მშვენიერი გახლდათ. ანდრეა პირლომ კი კიდევ ერთხელ გამოავლინა ხასიათი და დაამტკიცა, რომ უმაღლესი კლასის ფეხბურთელია.“

ლისაბონელთა მხრიდან ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის ვეტერანი კაპიტანი და ექსმილანელი მანუელ რუი კოშტა გახლდათ. მასზე ძალიან თბილად ილაპარაკა „როსონერის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ.

„ჩემპიონთა ლიგა ჩვენი ტურნირია, რვაჯერ ფინალში გავედით. „მილანის“ ყველა ახალ მწვრთნელსა და ფეხბურთელს ვუხსნით ხოლმე, რომ ჩემპიონთა ლიგა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული ტურნირია. „ბენფიკასთან“ ჩინებულად ვითამაშეთ და თავისუფლად შეგვეძლო, ხუთი ან ექვსგოლიანი სხვაობით მოგვეგო. მიხარია, რომ რუი კოშტას ჩვენი ფანები სათანადოდ შეხვდნენ. მანუელმა „როსონერიში“ ხუთი ბრწყინვალე სეზონი გაატარა, იგი ჩინებული ადამიანი და მოთამაშეა. მას მატჩამდეც შევხვდი და მერეც, ჩვენ დღემდე კარგი ურთიერთობა გვაქვს.“

**შახტარი 2:0 სელტიკი**

**1:0 ბრანდაო (6), 2:0 ლუკარელი (8)**

**შახტარი: პიატოვი, ჰუბშმანი, კუჩერი, რაცი, ილსინიო, ლევანდოვსკი, სრნა, ფერნანდინიო (დულიაი 86), ჟადსონი (კასტილიო 65), ლუკარელი (გლადკი 70), ბრანდაო**

**მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ**

**სელტიკი: ბორუცი, უილსონი, კოლდუელი, მაკმანუსი, ნეილორი, დონატი, ჰარტლი, ბრაუნი, ნაკამურა (მაკგიდი 65), მაკდონალდი (კილენი 68), ვენეგორ ოფ ჰესელინკი (ჟურავსკი 85)**

**მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი**

**გაფრთხილება: ბრაუნი, სრნა**

**მსაჯი: უნდიანო მალენკო (ესპანეთი)**

**28 000 მაყურებელი**

დამაჯერებლად დაიწყო დონეცკის „შახტარმაც“. უკრაინელები შინ ტრადიციულად კარგად თამაშობენ და ახლაც ასე მოხდა. ისინი თავიდანვე მიეძალნენ მეტოქეს და სწრაფი გოლებიც გაიტანეს.

მე-6 წუთზე ფერნანდინიოს მშვენიერი პასი ბრანდაომ შეირგო და მასპინძლები წინ გაიყვანა. ორ წუთში კი რაზვან რაცის პასის შემდეგ კრისტიანო ლუკარელიმ ოსტატური თავურით სხვაობა გაზარდა. ამის მერე, მიუხედავად ორივე გუნდის მცდელობისა, გოლი აღარ გასულა და „შახტარმა“, რომელიც აშკარად „სელტიკზე“ უკეთ თამაშობდა, ლოგიკურად იმარჯვა.

„ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი სამი ქულაა. შედეგის გარდა, მთლიანად ჩვენი თამაშით ვარ კმაყოფილი. შექმნილი მომენტების მიხედვით, შეიძლებოდა, ბევრად დიდი სხვაობითაც მოგვეგო“ — აღნიშნა „შახტარის“ რუმინელმა თავკაცმა მირჩა ლუჩესკუმ.

„სელტიკის“ მწვრთნელი გორდონ სტრაჩანი: „ვიცოდით, რომ „შახტარი“ კარგი გუნდი იყო და უკრაინელებმა ეს დაამტკიცეს. სამწუხაროდ, ბევრი არაფერი გამოგვივიდა“.

**გიორგი ძაძამიძე**

რუი კოშტა და კლარენს ზეედორფი



AFP



AFP

# რაულის 57

რაული კვლავაც „სანტიაგო ბერნაბეუს" მეფეა. „ვერდერთან" შეხვედრაში „რეალის" კაპიტანმა გოლიც გაიტანა, საგოლე პასიც გააკეთა და ბრემენელთა კარის დალაშქვრას ეფექტურ სტილში, მეკარისთვის თავზე გადაგდებითაც ეშურებოდა, თუმცა ეს ველარ შეძლო. საერთოდ კი, გონსალეს ბლანკოს ჩემპიონთა ლიგაში 57 გოლი დაუგროვდა, რითაც თავს სხვა ვერავინ მოიწონებს. სამეფო თეთრების კაპიტანს „ვერდერთან" მატჩის შემდეგ მადრიდული „ასი" გაესაუბრა...

— „რეალმა" უიღბლო ტრადიციას ბოლო მოუღო. აქამდე სამი სეზონის განმავლობაში ლიგას მარცხით იწყებდით, ახლა კი პირველ მატჩში ბრემენელები დაამარცხეთ...

— დიახ, ნავსი გავტეხეთ და ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც გამარჯვებას დიდი შრომის ფასად მივაღწიეთ.

— სანოგომ ანგარიში მალევე გაათანაბრა. მატჩის მოსაგებად დიდი პრობლემები შეგექმნათ?

— ვაღიარებ, რომ მეორე გოლის გატანა საკმაოდ გაგვიჭირდა. „ვერდერმა" უცებ გაგვითანაბრა ანგარიში და მიუხედავად იმისა, რომ უპირატესობა ჩვენს მხარეს იყო, გამარჯვებისთვის მაინც ბოლომდე ვიწვალეთ.

— თქვენი გოლის წყალობით ისევ ჩემპიონთა ლიგის მთავარმეგოლედ რჩებით...

— ბედნიერი ვარ, ჩემპიონთა ლიგაში 57-ე გოლის გატანა რომ შევძელი, მაგრამ მთავარი მაინც გუნდი და მისი გამარჯვებაა.

— „რეალი" წლეულს პრიმერადივიზიონშიც კარგად თამაშობს. როგორ ფიქრობთ, ლიგაში მოგება იმადაც საჭირო იყო, რათა საპრიმერო იღბლიანი გზა გაგეგრძელებინათ?

— ამ მოგებას ჩვენთვის დიდი ფასი აქვს, რადგანაც „ოლიმპიაკოსმა" და „ლაციომ" ერთმანეთში ფრე ითამაშეს და ამით ჯგუფის ლიდერებად ვიქეცით. ვთვლი, რომ მშვენიერი დასაწყისია.

— ახლა კი უკვე „ვალიადოლიდთან" მატჩზე უნდა იფიქროთ. ლა ლიგის მეოთხე ტურში ხოსე ლუის მენდილიბარის გუნდს უნდა ესტუმროთ...

— ევროტურნირზე გამარჯვებამ სულიერი სიმტკიცე და ძალა შეგვძინა. ამიერიდან კვირაში ორი მატჩის ჩატარება მოგვიწევს, პრიმერადივიზიონში და ჩემპიონთა ლიგაში ერთად უნდა ვიბრძოლოთ. ესპანეთში და ევროპაში უკვე ოთხი მნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ.

# კამორანეზი გამოირიცხა

**ტურინის** „იუვენტუსი" და იტალიის ნაკრები, სულ ცოტა, ექვსი კვირა დარჩა მაურო კამორანეზის გარეშე. როგორც ექიმები ამბობენ, ნახევარმცველის „უდინეზესთან" მიღებული ტრავმა საკმაოდ სერიოზული გამოდგა.

კამორანეზიმ ძველი ტრავმა სულ ახლახან მოიშუშა და წესიერად მინდორზე დაბრუნებაც ვერ მოასწრო, რომ ისევ დაშავდა.

| 14717 | ლევერკუზენი-ლეირია | 1.08 | 2.90 |
| 14721 | სიონი-გალათასარაი | 2.10 | 1.75 |
| 14724 | აეკ-ზალცბურგი | 1.45 | 2.40 |
| 14726 | სპარტა-ოდენსე | 1.30 | 2.50 |
| 14728 | არტმედია-პანათინაიკოსი | 2.00 | 1.80 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16675 | მიდტიულანდი-ლოკომოტივი მ | 1.95 | 1.70 |
| 16676 | გრონინგენი-ფიორენტინა | 2.45 | 1.40 |
| 16677 | რაბოტნიჩკი-ბოლტონი | 3.60 | 1.24 |
| 16678 | ნიურნბერგი-რაპიდი | 1.22 | 3.40 |
| 16684 | ხეტაფე-ტვენტე | 1.17 | 4.10 |
| 16686 | გროცლინი-ცრვენა ზვეზდა | 1.80 | 1.85 |
| 16688 | სარაევო-ბაზელი | 1.95 | 1.65 |
| 16689 | აუსტრია-ვოლერენგა | 1.17 | 4.10 |
| 16690 | ჰაპოელ თა-აც | 1.25 | 3.40 |
| 16691 | არისი-სარაგოსა | 2.40 | 1.45 |
| 16692 | დინამო ბუქ-ელფსბორგი | 1.12 | 4.60 |
| 16694 | ლოკომოტივი ბულ-რენი | 1.85 | 1.80 |
| 16695 | ბრანი-ბრიუგე | 1.62 | 2.05 |
| 16698 | აბერდინი-დნეპრი | 1.80 | 1.85 |
| 16699 | ჰერენვენი-ჰელსინგბორგი | 1.17 | 4.10 |
| 16701 | ტულუზი-ცსკა ბულ | 1.14 | 4.70 |
| 16703 | სამპდორია-ოლბორგი | 1.02 | 6.70 |
| 16706 | ჰამარბი-ბრაგა | 1.80 | 1.85 |
| 16707 | ლარისა-ბლექბერნი | 3.00 | 1.30 |
| 16708 | ბოლესლავი-პალერმო | 2.20 | 1.50 |
| 16709 | დინამო ზ-აიაქსი | 1.80 | 1.85 |
| 16710 | ემპოლი-ციურიხი | 1.25 | 2.50 |
| 16712 | სოშო-პანიონიოსი | 1.14 | 4.70 |
| 16713 | ანდერლეხტი-რაპიდი | 1.14 | 4.70 |
| 16715 | ფერეირა-ალკმაარი | 2.20 | 1.52 |
| 16716 | ზენიტი-სტანდარდი | 1.22 | 3.40 |
| 16717 | ლევერკუზენი-ლეირია | 1.05 | 5.70 |
| 16721 | სიონი-გალათასარაი | 2.10 | 1.60 |
| 16724 | აეკ-ზალცბურგი | 1.24 | 3.60 |
| 16726 | სპარტა-ოდენსე | 1.14 | 4.70 |
| 16728 | არტმედია-პანათინაიკოსი | 1.95 | 1.65 |

## გოლი: ლუწი-1 თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17675 | მიდტიულანდი-ლოკომოტივი მ | 1.85 | 1.95 |
| 17676 | გრონინგენი-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17677 | რაბოტნიჩკი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17678 | ნიურნბერგი-რაპიდი | 1.85 | 1.95 |
| 17679 | ევერტონი-მეტალისტი ხარკ | 1.85 | 1.95 |
| 17684 | ხეტაფე-ტვენტე | 1.85 | 1.95 |
| 17686 | გროცლინი-ცრვენა ზვეზდა | 1.85 | 1.95 |
| 17688 | სარაევო-ბაზელი | 1.85 | 1.95 |
| 17689 | აუსტრია-ვოლერენგა | 1.85 | 1.95 |
| 17690 | ჰაპოელ თა-აც | 1.85 | 1.95 |
| 17691 | არისი-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |
| 17692 | დინამო ბუქ-ელფსბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17694 | ლოკომოტივი ბულ-რენი | 1.85 | 1.95 |
| 17695 | ბრანი-ბრიუგე | 1.85 | 1.95 |
| 17698 | აბერდინი-დნეპრი | 1.85 | 1.95 |
| 17699 | ჰერენვენი-ჰელსინგბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17701 | ტულუზი-ცსკა ბულ | 1.85 | 1.95 |
| 17703 | სამპდორია-ოლბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17706 | ჰამარბი-ბრაგა | 1.85 | 1.95 |
| 17707 | ლარისა-ბლექბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17708 | ბოლესლავი-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17709 | დინამო ზ-აიაქსი | 1.85 | 1.95 |
| 17710 | ემპოლი-ციურიხი | 1.85 | 1.95 |
| 17712 | სოშო-პანიონიოსი | 1.85 | 1.95 |
| 17713 | ანდერლეხტი-რაპიდი | 1.85 | 1.95 |
| 17715 | ფერეირა-ალკმაარი | 1.85 | 1.95 |
| 17716 | ზენიტი-სტანდარდი | 1.85 | 1.95 |
| 17717 | ლევერკუზენი-ლეირია | 1.85 | 1.95 |
| 17721 | სიონი-გალათასარაი | 1.85 | 1.95 |
| 17724 | აეკ-ზალცბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17726 | სპარტა-ოდენსე | 1.85 | 1.95 |
| 17728 | არტმედია-პანათინაიკოსი | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# გიჟი ხარ, იბრაჰიმ!

## გიორგი ნოზაძის სიხარული, გაოცება, ოქროები და სუფრები

**ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავე რამაზ ნოზაძემ ბაქოში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე სეზონის ოქროს დუბლი შეასრულა და ოქროს სრულ კოლექციამდე ოლიმპიური ჩემპიონობაღა უკლია. აზერბაიჯანული ფინალიდან რამდენიმე საათში, ბაქოში რომ შევეხმიანეთ, მის პატივსაცემად გაშლილ სუფრასთან მოვიხელთეთ. მიუხედავად იმისა, რომ დღის გმირი ყველას ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა, ჩვენთვის მაინც მოიცალა და ყველა კითხვას დინჯად უპასუხა**



— ამ გამარჯვებას მთელ საქართველოს ვუძღვნი. ყველას, ვინც ჩემი მსოფლიოს ჩემპიონობით გაიხარა. გულშემატკივრები სპორტსმენს ძალას მატებენ და განსაკუთრებით სასიხარულოა, მათ იმედებს რომ გაამართლებ.

**— როგორც ფინალის რეპორტაჟიდან ჩანდა, ბაქოში ტრიბუნების მხარდაჭერა არ გაკლდა...**

— არც ფინალში და არც წინა შეხვედრებში. აზერბაიჯანში ქართველი ქომაგები ბლომად ჩამოვიდნენ და პირველი წრიდან მოყოლებული ისე ყვიროდნენ, თავი თბილისში მეგონა. აზერბაიჯანელი მაყურებლის მხარდაჭერა კი კიდევ ერთი დამატებითი მუხტი იყო. მოკლედ, ბაქოს მსოფლიოს ჩემპიონატი ყველანაირად საუკეთესოდ გამახსენდება.

**— ისევე, როგორც მთლიანად 2007 წლის სეზონი...**

— რა თქმა უნდა. წელს ევროპის ჩემპიონიც გავხდი და მსოფლიოსიც. აბა, ამაზე მეტი რა უნდა მენატრა! ისე, გულახდილად გეტყვით, ერთ სეზონში ორი მთავარი ოქროს მედლის მოპოვებაზე ადრე ბევრჯერ მიფიქრია. როგორც იქნა, ოცნება ამიხდა.

**— ოქროს სრულ კოლექციას ოლიმპიური ჩემპიონობა აკლია...**

— ამ ჩემპიონობით პეკინის ლიცენზიაც ავიღე. ოლიმპიადისთვის მზადებას აქედანვე დავიწყებ და მომავალ ზაფხულს საუკეთესო ფორმაში შევხვდები. შედეგი კი ხალიჩაზე გამოჩნდება. იმედია, სრულ კოლექციას პეკინში შევაგროვებ.

**— ოლიმპიადის ხსენებაზე არ შეიძლება ათენში შენი მომგები ეგვიპტელი ქარიმ იბრაჰიმიც არ ვახსენოთ. ხომ არ იცი, მან რატომ არ იჭიდავა ბაქოში?**

— წინასწარი ინფორმაციით, მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ ეგვიპტელებმა 96 კილოგრამში სხვა დააყენეს. აბა, რა მომასვენებდა, მათ მწვრთნელს ვკითხე, რატომ არ ჩამოიყვანეთ-მეთქი. მიპასუხა, ჭიდაობას თავი დაანებაო. მე კი ვთხოვე, ჩემგან გადაეცით, გიჟი ხარ-მეთქი. უნიჭიერესი მოჭიდავე რომ კარიერას ასე უაზროდ დაასრულებს, მართლაც საწყენია. იმედია, აზრს შეიცვლის. 2004 წლის ფინალის მერე ლამის ყოველდღე ვფიქრობდი, კიდევ როდის მომეცემოდა იბრაჰიმთან დაჭიდების შანსი. ბაქოშიც მაგ იმედით წამოვედი...

**— ამჯერად ფინალში ლიტველ ეზერსკისს დაეჭიდე. ელოდი მასთან შეხვედრას?**

— ამის მთავარი მიზეზი კენჭისყრაა. ფავორიტები ბადის ერთ მხარეს მოგროვდნენ, მეორე ნახევარში კი შედარებით სუსტებმა მოიყარეს თავი. არ მინდა, ეზერსკისს გარჯა დავუკარგო, მაგრამ მთავარი ბრძოლები ფინალამდე გადავიტანე. პირველსავე წრეში ჩეხ სვეცს შევხვდი. ამ მოჭიდავემ წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე ნახევარფინალში მომიგო და აზერბაიჯანში რევანში ავუღე. მეორე მეტოქე ამერიკელი რუისი მსოფლიოს პრიზიორი იყო და ამით ყველაფერია ნათქვამი, ჯიმი ლიდბერგს კი გაზაფხულზე ევროპის ჩემპიონატის ფინალშიც შევხვდი და დაძაბულ შეხვედრაში მოვუგე.

**— ეზერსკისთანაც გვარიანად გაგიჭირდა. დატრიალების სამი შანსიდან ერთიც ვერ გამოიყენე. ეს დაღლილობის ბრალი იყო, თუ ზედმეტად თავდაჯერებულობის?**

— არც ერთის. უბრალოდ, ფინალში ვიყავი და რისკს მაქსიმალურად ვერიდებოდი. ბიჭებმაც მითხრეს, მონეტა ლიტველის ფერზე რომ დამჯდარიყო და ბოლო ოცდაათი წამი შენი ყოფილიყო, ილეთს მაშინ აუცილებლად გააკეთებდიო. მართლაც ასე იქნებოდა. შეიძლება, ცოტა განერვიულეთ, მაგრამ იმედია, ბოლოს ყველაფერი დაგავიწყეთ.

**— ფინალში დალურჯებული თვალით და ბლომად იარებით გახვედი. ვინ დაგაზიანა?**

— პირველივე წრეში ჩეხმა „გამალამაზა“. საშინლად ბინძურად მეჭიდავა.

**— ჩემპიონობა როგორ აღნიშნე?**

— მთელი საღამოა, სუფრიდან სუფრაზე გადავდივარ. ყველა პატივს გვცემს. ასეთი დაფასება მართლა იშვიათია. უბედნიერესი დღეა.

**— 2007 წლის საუკეთესო სპორტსმენობის მთავარი კანდიდატი რომ გახდი, თუ იცი?**

— ეგ ტიტული წარმატებულ სეზონს ნამდვილად მოუხდებოდა, მაგრამ რა დროს საუკეთესო სპორტსმენობაზე ფიქრია. მსოფლიოს ჩემპიონატი გრძელდება და ხალიჩაზე კიდევ ბევრი ჩვენებურია გასასვლელი.

**ოთარ ძაღლაძელიძე**

# კლასიკოსებმა მსოფლიო და ბაქო დაასრულეს

**ორი** „ოქროს დღის“ შემდეგ აზერბაიჯანულ მსოფლიოს ჩემპიონატზე სამ წონით კატეგორიაში მედლები ისე გადანაწილდა, კვარცხლბეკზე ერთი ქართველიც არ ასულა. ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ტურნირი 120-კილოგრამიანებმა დააგვირგვინეს. მათ პარალელურად კი ხალიჩაზე 55 და 60-კილოგრამიანი თავისუფალი სტილის მიმდევრებიც გავიდნენ. ქართული კლასიკური წერტილი რევაზ ჭელიძემ დასვა, ხოლო თავისუფალთაგან პირველები გოჩა კირკიტაძე და მალხაზ ქურდიანი გათავისუფლდნენ.

ჭელიძეს პირველ წრეში სომეხ პატრიკეევთან რომ უწევდა დაჭიდება, გუშინდელი მიმოხილვის ბოლოსაც გამცნეთ. სამწუხაროდ, ქართველისთვის ეს შეხვედრა ბაქოურ მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველი და უკანასკნელი გამოდგა. ბეგი დარჩიას შვიდეულმა ტურნირი ორი ოქროთი და ერთი ბრინჯაოთი დაასრულა.

ზაზა თურმანიძის შეგირდებისთვის კი გადაულახავ ბარიერად თურქები იქცნენ. ამასთან, ფინალში ვერც ერთი მათგანი ვერ გავიდა და ჩვენებურებს ბრინჯაოს შანსიც გაუქრათ.

კირკიტაძე კენჭისყრამ აკგულს პირველივე წრეში გადაჰყარა, ხოლო ქურდიანმა ოდაბაშისთან წაგებამდე უზბეკი ნავრუზოვის და ლიტველი ჩუმაკოვის ჩამოცილება მოასწრო.

დღეს ხალიჩა 66, 74 და 84-კილოგრამ წონით კატეგორიებს დაეთმობათ. საქართველოს სახელით კი ოთარ თუშიშვილი, გელა საღირაშვილი და რევაზ მინდორაშვილი იჭიდავებენ.

**ოთარ ძაღლაძელიძე**



# მეტრეველმა სიენა თადარიგით დაიწყო

**16 წლის ნიკა მეტრეველი დღეს ყველაზე პერსპექტიულ ახალგაზრდად ითვლება. სრულიად ნედლი ბიჭი იტალიის ჩემპიონმა „სიენამ“ აიყვანა და ერთბაშად 8-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა. მართალია, სიენელებს არსად ეჩქარებათ, მაგრამ ქართველი ფორვარდ-ცენტრი უკვე ძირითადი გუნდის განაცხადში შეიყვანეს და ბოლონიურ შეკრებაზეც იახლეს. სერია A-ს ჩემპიონმა რამდენიმე მატჩი გამართა, მაგრამ ევროლიგის ბობოლა გუნდებთან და მეტრეველიც სათადარიგო იყო — დაძაბულ ორთაბრძოლაში მწვრთნელმა მისი მოედანზე შეყვარა არ გარისკა. მეტრეველს გუშინ ბოლონიაში შევეხმიანეთ და ახალი ამბები გამოვკითხეთ...**

**— გულნატკენი ხომ არ ხარ, „სიენაში“ შენი დებიუტი რომ არ შედგა?**

— არა, ამაზე არც ვფიქრობ. ამ გუნდში რომ მოვდიოდი, ვერც კი წარმოვიდგენდი, პირველივე წელს ძირითად გუნდში თუ მოვხვდებოდი, თუმცა სიენელებმა უკვე შემიყვანეს ევროლიგის განაცხადში.

**— მხოლოდ ევროლიგის განაცხადში?**

— დიახ, რადგან ამ ტურნირში ლეგიონერებზე შეზღუდვა არაა, ხოლო სერია A-ში უცხოელებზე ლიმიტია და კონკურენციაც დიდია. ამიტომ, იტალიის ჩემპიონატს ახალგაზრდულ გუნდში ვითამაშებ, ხოლო დანარჩენ დროს — ევროლიგის მატჩებსა და ვარჯიშებზე — სულ ძირითად გუნდებთან გავატარებ.

**— ახლაც ძირითად გუნდთან ხარ...**

— ძალიან გამიხარდა, რომ სიმონე პინიჯანიმ „სიენას“ ძირითად გუნდთან ერთად მიახლა ბოლონიურ შეკრებაზე. აქ არაერთი ძლიერი გუნდია და ამხანაგურ მატჩებს ვთამაშობთ...

**— რას იტყვი გაწვლილ შეხვედრებზე?**

— ცსკა-ს დაძაბულ ბრძოლაში, 72:67 მოვუგეთ, ხოლო „უნიკახა“ 79:65 დავამარცხეთ. ორივე მატჩში სათადარიგო ვიყავი და მოედანზე არ გავსულვარ.

**— ეს გუნდებიც ძირითადი შემადგენლობით იყვნენ?**

— ევროპის ჩემპიონატზე მონაწილეები აკლდათ მხოლოდ, ისევე როგორც ჩვენ. ლიტვის ნაკრების წევრები — რიმანტას კაუკენასი და კრისტოფ ლავრინოვიჩი დღეს შემოგვიერთდნენ. ჩემი უთამაშებლობის მიზეზი ისიც იყო, რომ ტრავმა რამდენიმე დღის წინ მოვიშუშე და ფორმაში ჯერ არ შევსულვარ. მარჯვენა ფეხის გული დამისივდა და ამის გამო ბორმიოს შეკრებაც გამოვტოვე, სადაც „სიენა“ ბოლონიამდე იმყოფებოდა.



**— მომდევნო მატჩი როდის გაქვთ და თუ ელოდები, რომ ითამაშებ?**

— მატჩი დღესაა, ოღონდ ვერ ვიტყვი, ვითამაშებ თუ არა. ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. ისე, დღევანდელი მატჩი ძალიან უცნაურია. 20 წუთი „ბოლონიას“ ვეთამაშებით, 20 კი — „სკავოლინის“. ეს ხომ მოსამზადებელი მატჩებია და ყველაფერი შეთანხმებაზეა დამოკიდებული.

**— „სიენას“ უახლოესი გეგმები როგორია?**

— ხვალ გვაქვს გუნდის საასეზონო პრეზენტაცია. ჩვენს დარბაზში შევიკრიბებით და ფანებს ახალ მოთამაშეებს წარუდგენენ. ეს იქნება ერთგვარი ზეიმი და სანახაობა. მეც, რა თქმა უნდა, იქ ვიქნები. რამდენიმე დღეში „სიენას“ ახალგაზრდული გუნდი შეკრებაზე მიემგზავრება და მეც მათთან ერთად მოვემზადები.

**— როცა სიენაში ხარ, მაშინაც ახალგაზრდებთან ვარჯიშობ?**

— არა, რაც სიენაში ჩამოვედი, სულ ძირითად გუნდთან ვარ. ახლა ახალგაზრდულის დროც დადგა, ამ გუნდში მომიწევს ძირითადად თამაში და უნდა მოვემზადო.

**ირაკლი პერტაია**

# მორესმოს ჩოგნის ხმა მოგვესმა


ამელი მორესმო

AFP პეკინიდან

**ქალები. პეკინი. ჩინეთი. ჰარდი. საპრიზო 600 000 $**

### პირველი წრე

ლინდსი დევენპორტი (აშშ) — ჯულია დიტი (აშშ) 6:0 6:2; ტამირა პაშეკი (ავსტრია) — ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:3 6:3

### მეორე წრე

ამელი მორესმო (3, საფრანგეთი) — იოანა რალუკა ოლარუ (რუმინეთი) 6:2 6:2; აგნეს სჟავაი (6, უნგრეთი) — დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) 7:6 6:4; მა ემილია კამერინი (არგენტინა) — აბიგაილ სპირსი (აშშ) 6:2 7:5; შუაი პენგი (ჩინეთი) — მარტინა ჰინგისი (5, შვეიცარია) 7:5 6:1

**ქალები. კალკუტა. ინდოეთი. ჰარდი (დარბაზი). საპრიზო 175 000 $**

### პირველი წრე

ვანია კინგი (აშშ) — მარიონ ბარტოლი (1, საფრანგეთი) 6:1 7:5; ტატიანა პუჩეკი (ბელარუსი) — ალა კუდრიავცევა (რუსეთი) 6:3 6:3; მარია კირილენკო (რუსეთი) — ნეჰა უბეროი (აშშ) 6:2 6:2; დანიელა ჰანტუხოვა (2, სლოვაკეთი) — მარტა დომაჩოვსკა (პოლონეთი) 6:2 6:1

### მეორე წრე

ციპორა ობზილერი (ისრაელი) — კეისი დელაკუა (კანადა) 4:6 6:3 7:5; იუნ-იან ჩანი (ტაივანი) — იარმილა გაიდიშოვა (სლოვაკეთი) 6:1 6:2

**ქალები. პორტოროზი. სლოვენია. ჰარდი. საპრიზო 145 000 $**

### პირველი წრე

ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) — კლარა კუკალოვა (ჩეხეთი) 7:6 6:2; კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) — მასა ზეკ პესკირიჩი (სლოვენია) 6:0 6:0; ტატიანა გოლოვინი (5, საფრანგეთი) — ლილია ოსტერლო (აშშ) 6:1 1:6 6:1; ემილი ლუა (საფრანგეთი) — გრეტა არნი (გერმანია) 6:2 6:4; ნატალი დეში (საფრანგეთი) — ანჟელიკ კერბერი (გერმანია) 6:3 3:6 7:6; ვერა ზვონარიოვა (6, რუსეთი) — ოლივია სანჩესი (საფრანგეთი) 6:3 6:3; სიბილ ბამერი (3, ავსტრია) — ივონ მოისბურგერი (ავსტრია) 6:2 6:1; ვერა დუშევინა (რუსეთი) — ვიკა ოზეგოვიჩი (ხორვატია) 6:2 6:1; ხისელა დულკო (არგენტინა) — ემანუელა გალიარდი (შვეიცარია) 6:3 6:4; ელენა ვესნინა (2, რუსეთი) — პოლონა ჰერცოგი (სლოვენია) 6:3 6:7 6:4

**ფედერაციის** თასის მოლევის შემდეგ ქალთა საჩოგბურთო სამყაროში ერთადერთი საინტერესო მოვლენად წლის შემაჯამებელ ტურნირზე მომხვედრთა ვინაობის გარკვევალა დარჩა. შარშანდელისა არ იყოს, ეს ტურნირი წლეულსაც მადრიდში გაიმართება და სექტემბრის მორჩენილ დღეებსა და ოქტომბერშიც ქალი მეჩოგნეები ერთმანერთს ესპანეთის დედაქალაქის საგზურებს შეეცილებიან. წესით, ეს ბრძოლა საინტერესო უნდა გამოვიდეს, რადგანაც პირინეებზე ადგილი მხოლოდ ჟუსტინ ენინს აქვს დაბევებული და ამიტომ დანარჩენ ბობოლებს მომავალ კვირებში საჭირო ქულები დასაგროვებლად კორტზე გასვლა მოუწევთ.

ამ კვირაში კი ყველაზე წარმომადგენლობითი ტურნირი პეკინში იმართება, სადაც ფრიად სოლიდური შერმადგენლობა შეიკრიბა და საპრიზო ფონდიც საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება. თუმც ტურნირმა ერთი სერიოზული დანაკარგი თავიდანვე განიცადა — ჩინეთში თამაშზე უარი თქვა პირველ ნომრად განთესილმა სვეტლანა კუზნეცოვამ. რუსმა მიზეზად ტრავმა კი დაასახელა, მაგრამ, სავარაუდოდ, მას ახლა უბრალოდ, დასვენება სჭირდება. ბოლო ხანებში რუსს ხომ საკმაოდ დატვირთული კალენდარი ჰქონდა, თან გასულ უქმეებზე თავისი ნაკრების ფედერაციის თასზე გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო და ამიტომაც ახლა უქმობა გამოიწერა. ოღონდ ეგაა, რომ კუზნეცოვამ თავისი გადაწყვეტილება გვიან აცნობა ორგანიზატორებს და მათაც სასწრაფოდ მოუწიათ მისი შემცველელის ძიება.


დანიელა ჰანტუხოვა

AFP კალკუტიდან

ასეა თუ ისე, რუსის ადგილი არგენტინელმა მა ემილია კამერინმა დაიკავა და ჯერჯერობით თავი არც შეურცხვენია, რადგანაც აბიგაილ სპირსის ჯობნით მეოთხედფინალის საგზური გაინაღდა.

განაგრძობს წარმატებულ თამაშს ლინდსი დევენპორტი. კორტზე მობრუნებული ამერიკელი მოულოდნელად კარგ ფორმაშია, რაც ბალის ტურნირის მოგებით დაამტკიცა და აგერ პეკინშიც არ აპირებს ტემპის შენელებას. ლინდსი ამჯერად თანამემამულე ჯულია დიტის გაუმკლავდა.

კამერინის გარდა მეოთხედფინალების საგზურები გაინაღდეს აგნეს სჟავაიმ და ამელი მორესმომ. დიახ, მორესმომ, რომელმაც ჩოგბურთში დაბრუნება სწორედ პეკინში მოინდომა. მართალია, ეს მხარბეჭიანი ფრანგი დევენპორტივით ერთი წელი არ იყო წასული სპორტიდან, მაგრამ ამელის ხომ უიმბლდონის მერე არ ეთამაშა — ამიტომ მისი კორტზე გამოჩენა მართლაც აღსანიშნავი მოვლენა გახლავთ. ფრანგი გუშინ იოანა ოლარუს გაუმკლავდა.

პეკინმა გუშინ კიდევ ერთი ბობოლა დაკარგა მარტინა ჰინგისის სახით. შვეიცარიელმა ვერაფერი გააწყო შუაი პენგთან და ორ სეტში დათმო.

მთავარი ფავორიტი დაემშვიდობა კალკუტასაც. პირველ ნომრად განთესილი მარიონ ბარტოლი ვანია კინგმა შეიწირა. ბარტოლი მართლაც რომ ერთჯერადი მოვლენა აღმოჩნდა — უიმბლდონზე გაიბრწყინა და ფინალშიც გავიდა, მაგრამ მას შემდეგ ხეირიანი არაფერი უქნია.

შედეგად ინდოეთში გამარჯვების მთავარ პრეტენდენტად დანიელა ჰანტუხოვა რჩება. სლოვაკი ლამაზმანი გუშინ ძალიან იოლად გაუმკლავდა მარტა დომაჩოვსკას.

სლოვენიურ პორტოროზში კი განსაკუთრებული მოულოდნელობა არ მომხდარა. მოიგო ყველამ, ვისაც ეს რანგით ეკუთვნოდა. მაგრამ ერთ თამაშზე მაინც შევჩერდებით — მეორე ნომრად განთესილმა ელენა ვესნინამ გვარიანად იწვალა სრულიად უცნობ მასპინძელ პოლონა ჰერცოგთან, მაგრამ მესამე სეტის მიწურულს მაინც გამოგლიჯა გამარჯვება და მეორე წრის საგზური.

**ქახა ლოჩოშვილი**



# მსოფლიოს ჩემპიონატი

## 12-30 სექტემბერი. მეხიკო. მექსიკა

| V ტური | | |
| --- | --- | --- |
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 1:0 | პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) |
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 0,5:0,5 | ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) |
| ბორის გელფანდი (ისრაელი) | 1:0 | ლევონ არონიანი (სომხეთი) |
| ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) | 1:0 | ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) |


პეტერ ლეკო მოყოჩაღდა

# ანანდი სუფრის თავში დაჯდა

**მსოფლიოს** ჩემპიონატის მეხუთე ტურში ვიშვანათან ანანდმა პიოტრ სვიდლერი დაამარცხა და ერთპიროვნულად გალიდერდა. ინდუსმა ნახევარი ქულით გადაუსწრო მთავარმეტოქე კრამნიკს და ჩემპიონობაზე სერიოზული განაცხადი გააკეთა. ამაში მას პეტერ ლეკო დაეხმარა, რომელმაც კრამნიკს დაძაბულ ბრძოლაში ნახევარი ქულა დასცინცლა.

მეოთხე ტურში უნგრელმა ლევონ არონიანთან დათმო შეხვედრა, რამაც მასზე ძალიან იმოქმედა. „ეს ღამის კოშმარს ჰგავდა და მისი დავიწყება მინდა. დებიუტში ცუდად ვითამაშე, რის გამოც ავირიე და შეცდომები დავუშვი. ასეთ ტურნირებში კი დიდი მნიშვნელობა აქვს ფსიქოლოგიურ მომზადებას და იმედია, მსგავს შეცდომებს აღარ გავიმეორებ" — განაცხადა მადიარმა დიდოსტატმა. მეხუთე ტურამდე კი ორგანიზატორებმა მოჭადრაკეები ერთი დღით დაასვენეს. ლეკომაც ეს ფანჯარა კარგად გამოიყენა და მომდევნო დღეს მსოფლიოს ჩემპიონის წინააღმდეგ სხვა განწყობით წარდგა.

უნგრელმა ე4-ით დაიწყო პარტია, წინა ხაზზე მსუბუქი ფიგურები გამოიყვანა და მტრის დასახვედრად მოემზადა. კრამნიკმა ლაზიერის ფლანგიდან შეუტია თეთრებს, მაგრამ ვერაფერი დააკლო და 24-ე სვლაზე ყაიმზე შეუთანხმდა.

კრამნიკის წაფორთხილებით ისარგებლა ანანდმა, რუსეთის მრავალგზის ჩემპიონი სვიდლერი 39-ე სვლაზე დაამარცხა და პირველ ადგილზე მარტოდმარტო წამოსკუპდა. შეხვედრისას უფრო სვიდლერი აქტიურობდა და ანანდს რამდენჯერმე სახიფათოდ შეუტია. აზიელმა მის იერიშებს იერიშებითვე უპასუხა, მეტოქე საკმაოდ დაბომბა და მსუყე ქულაც დასტყუა.

ბორის გელფანდმა კი ზედიზედ ოთხი ყაიმის შემდეგ როგორც იქნა, მოიგო და სამი ქულით კრამნიკს გვერდით ამოუდგა.

**ლაშა გეგეჭკორი**

| სატურნირო ვითარება | |
| --- | --- |
| 1. ვიშვანათან ანანდი | 3,5 |
| 2. ვლადიმირ კრამნიკი | 3,0 |
| 3. ბორის გელფანდი | 3.0 |
| 4. ალექსანდრ გრიშჩუკი | 3.0 |
| 5. ლევონ არონიანი | 2.0 |
| 6. ალექსანდრ მოროზევიჩი | 2.0 |
| 7. პეტერ ლეკო | 2.0 |
| 8. პიოტრ სვიდლერი | 1,5 |



# ძალოსნობის პირველი ქულები

**ტაილანდის** ქალაქ ჩანგ მაიში ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო და ექვსკაცა საქართველოს ნაკრებიდან პირველი ზვიად სამუკაშვილი უკვე ფიცარნაგზეც გავიდა. 56 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩვენებური C ჯგუფში გამოვიდა და მეექვსე ადგილი დაიკავა. ზვიადმა 100-კილოგრამიანი შტანგა აიტაცა, 130-იანი აჰკრა და ორჭიდის ჯამში 230 კილოგრამი დააგროვა.

C ჯგუფში მეექვსეზე გასვლას სახარბიელო შედეგი ნამდვილად არ ეთქმოდა, რადგან A და B ჯგუფში ოცი ისეთი სპორტსმენი გამოდიოდა, შედარებით მძიმე წონები რომ შეეკვეთათ. პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო ქულები კი ოცდახუთ საუკეთესოზე უნდა გადანაწილებულიყო.

ოცეულიდან ოთხს მოულოდნელად ხელი მოეცარა და სამუკაშვილმა ოცდამეორე ადგილამდე აინაცვლა, რისთვისაც ოთხი ქულა მიიღო. ტურნირი ამ დღეებშიც გრძელდება, მაგრამ ქართველი შტანგასთან 21 სექტემბრამდე აღარ მივა. ამ დღეს მსოფლიოს ჩემპიონატში რაულ ცირეკიძე (85 კგ) ჩაერთვება. 22-ში გიორგი ასანიძე (85 კგ) გამოვა. შემდეგ დღეებში კი არსენ კასაბიევი (94 კგ), ალბერტ კუზილოვი (105 კგ) და გია მაჭავარიანი (+105 კგ).

**ოთარ მხეიძე**

RUGBY WORLD CUP 2007

## საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი

# ილიადა დასრულდა

## ლელოების ყოჩი რაგბის ემშვიდობება



მთელმა ეპოქამ ჩაიარა მის თვალწინ, ქართული რაგბის გამოღვიძების და აღზევების ეპოქამ. თავად გახლდათ ამ ევოლუციური პროცესების მონაწილე და დამაჩქარებელი. ბევრი უნახავს და განუცდია ილია ზედგინიძეს. დიდი ხანია, ის საქართველოს რაგბის ნაკრებს ახმარდა თავის ძალას და ინტელექტს, ყოველთვის გუნდის გამორჩეული მოთამაშე იყო, ბოლო ხუთი წელი კი „ლელოთა" კაპიტნის ტვირთს ზიდავდა. მისი კაპიტნობით ჩავიდნენ ქართველი მორაგბეები როგორც პირველ, ისე მეორე მსოფლიოს თასზე. მაგრამ როგორც ირკვევა, მის გარეშე ჩაამთავრებენ — ირლანდიასთან ისტორიულ მატჩში ტრავმის მიმღები ილია ზედგინიძე ნაკრებს რაგბის და ნაკრებს თავანეული ემშვიდობება

— შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ძალიან მშვიდად და მხნედ ვარ — გვითხრა ილია ზედგინიძემ, საფრანგეთში რომ დავუკავშირდით და, სიმართლე გითხრათ, ამას ველოდით კიდეც, რადგან ძვლებისმტვრეველ ჯახებშიც კი ილია ყოველთვის მშვიდად და გაწონასწორებულად კაპიტნობდა ჩვენს „ლელოებს".

**— ერთია, რომ ემოციებს ერევი, მაგრამ ალბათ გულიც გწყდება, კარიერას რომ ასრულებ...**

— გული იმაზე მწყდება, რომ მსოფლიოს თასზე კიდევ ორი მატჩი უნდა მეთამაშა და არ დამცალდა. მსოფლიოს თასის შემდეგ ნაკრებიდან წასვლა ისედაც გადაწყვეტილი მქონდა. ტრავმა აქ არაფერ შუაშია. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ბიჭები, ჩემი ძმები კარგად დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანენ.

**— მაგრამ ეს უშენოდ მოხდება...**

— რატომ უჩემოდ? არგენტინასთან და ირლანდიასთან მეც ვითამაშე. ამ საქმეში, რასაც ქართული რაგბის აღზევება ჰქვია, ჩემი წვლილიც არის. თანა თასზე მარტო სატურნირო განაცხადში მოხვედრილი მორაგბეები კი არ აკეთებენ საქმეს, იმათი წვლილიც დიდია, ვინც მსოფლიოს თასის მიღმა დარჩა. ამ ბიჭების კისერზეც გადაიარა შესარჩევის სიმძიმემ და მათ ღირსეულად გაუძლეს გამოცდას.

**— უცნაურია, 30 წლისამ რატომ გადაწყვიტე რაგბიდან წასვლა. სანაკრებო კარიერის დასრულებას ახსნა მოეძებნება, მაგრამ აღარც კლუბში ითამაშებ?**

— არა, რაგბიდან საერთოდ წავედი. ეს საბოლოო გადაწყვეტილებაა და აღარ შევცვლი. ვფიქრობ, ამის დრო დადგა. თანაც ახლა საუკეთესო მომენტია, რომ რაგბის თამაშს შევეშვა. ასეთი კარგი საკლუბო სეზონი არასდროს მქონია, „ოშთან" ერთად ოცდაათი მატჩიდან ოცდაექვსი მოვიგეთ, საფრანგეთის ჩემპიონატის ელიტარულ ლიგაში გადავედით, ნაკრები კი მეორედ გავიდა მსოფლიოს თასზე და გრანდებთან თამაშით მთელი მსოფლიო ავალაპარაკეთ. ასეთი სეზონი არასდროს მქონია და გადავწყვიტე, რაგბიდან წასვლა აღარ გადავდო. როგორც ვთქვი, მორჩა, წავედი!

**— რაგბის გარეშე ალბათ ვერ გაჩერდები. გადაწყვეტილი გაქვს, რას გააკეთებ?**

— ათი წელია, საფრანგეთში ვცხოვრობ და ვთამაშობ. ოჯახი ძალიან მომენატრა, საქართველოში მინდა ცხოვრება, თანაც დავიღალე... დროა, ჩემს პირად ცხოვრებასაც მივხედო. ალბათ რამე საქმეს წამოვიწყებ. მსოფლიოს თასის შემდეგ საფრანგეთში დავრჩები და საქმიანი შეხვედრები მექნება, ნაახალწლევს თბილისში ჩამოვალ და საბოლოოდ დავრჩები. რაც შეეხება ჩემს რაგბიში დარჩენას, ასეც იქნება. ოღონდ პირველ ეტაპზე არა მგონია, ამ მხრივ ვიაქტიურო. მერე კი, ცხადია, უფრო დიდი დოზით ჩავერთვები ქართული რაგბის ცხოვრებაში.

**— დღევანდელი გადასახედიდან ყველაზე მეტად რაზე გწყდება გული?**

— სიმართლე გითხრა, რაგბიდან ცუდი ემოციებით და მოგონებებით არ მივდივარ. ვერ ვიტყვი, რომ ჩემს კარიერაში რაიმეზე მწყდებოდეს გული.

**— გამოსარჩევი კი ბევრი გექნება...**

— ასეც არის და ძნელად, რომელიმე გამოვყო. თუმც ყველაზე მეტად 2002 წელს თბილისში რუსეთის დამარცხებამ და მსოფლიოს თასზე პირველად გასვლამ გამახარა. ამას ახლა არგენტინასთან და ირლანდიასთან მართლაც უმაღლეს დონეზე ჩასატარებელი თამაშები დაემატა. საწყენია, რომ ნამიბიასთან ველარ ვითამაშებ, რადგან მსოფლიოს თასებზე ალბათ პირველ და ისტორიული გამარჯვების მონაწილე ვიქნებოდი. მაგრამ ბიჭებს არ მივატოვებ და ყველანაირად გვერდში დავუდგები.

**ბაჩო სვანიძე**



# ილიასთვის!

## დადგება საქესთან ირაკლი აბუსერიძე?

„ახლა ყველაზე ნაკლებად ვფიქრობ იმაზე, მე ვიქნები გუნდის კაპიტანი თუ არა. ილოს წასვლამ ყველას გული დაგვწყვიტა, მისი მოედანზე არყოფნით კი ნაკრებს დიდი ძალა დააკლდება" — პირველი ეს გვითხრა „ლელოების" ცხრა ნომერმა ირაკლი აბუსერიძემ, საფრანგეთში რომ დავუკავშირდით.

„ლელოების" აწ უკვე ყოფილი კაპიტნის ილია ზედგენიძის რაგბიდან წასვლის შემდეგ ჩვენებს ალბათ 29 წლის ირაკლი აბუსერიძე უყოჩებს, რომელსაც აქამდე ორჯერ უკაპიტნია ქართველებისთვის, ხოლო მსოფლიოს თასზე ვიცე-კაპიტნის სტატუსით ჩავიდა.

**— გასაგებია, რომ გულდაწყვეტილები ხართ, მაგრამ კაპიტნობა ხომ ავტომატურად შენ გეკუთვნის?**

— ასე არის. თუმც ნამიბიასთან მატჩამდე მთელი კვირაა დარჩენილი. ჯერ არ ვიცით, რა შემადგენლობით ვითამაშებთ. შეიძლება, ძირითად შემადგენლობაში ვერ მოვხვდე, ამიტომ კაპიტანი წინასწარ ვერანაირად ვერ ვიქნები. ვნახოთ, დაველოდოთ, რა შემადგენლობას შეარჩევენ მწვრთნელები და მერე საერთო კრებაზე ყველა ერთად გადავწყვეტთ, ვინ იქნება კაპიტანი.

**— ილია ზედგინიძის რაგბიდან წასვლამ ალბათ თქვენზეც იმოქმედა...**

— რა თქმა უნდა, ილო პირველ რიგში საუკეთესო მეგობარია, რომელსაც ნებისმიერ წამს შეგიძლია ენდო, მოედანზე კი მებრძოლი და შესანიშნავი წინამძღოლია.

**— ნამიბიასთან მატჩში ზედგინიძის არყოფნა ძალიან დაგეტყობათ?**

— ასეც არის, თუმც ილიას მოედანზე არყოფნა მოტივაციას გაგვიორმაგებს. მისი ოცნება იყო, რომ მსოფლიოს თასზე ღირსეულად გვეთამაშა და პირველი ისტორიული გამარჯვება მოგვეპოვებინა. ჩვენ მოვუგებთ ნამიბიას და ამ გამარჯვებას ილიას მივუძღვნით.

**ბაჩო სვანიძე**

# ძველი კაპიტანი ძველმა კაპიტანმა შეცვალა



**კაპიტანი** კაპიტნად და ილო ზედგინიძის ტრავმამ ჩვენი „ლელოების" მწვრთნელები აიძულა მისი გვარი სამსოფლიოსთასო განაცხადიდან ამოეშალათ. გამოთავისუფლებული ადგილის შესავსებად „ლელოების" სამწვრთნელო შტაბს — (მალხაზ ჭეიშვილი, დავით ჩავლეიშვილი და პაატა ნარიმანაშვილი) შემადგენლობით დიდხანს არ უფიქრია და სტაჟიანი მენაკრებე ზურაბ მჭედლიშვილი გამოარჩია!

36 წლის მორკინალი ზურაბ მჭედლიშვილი ძველი მენაკრებეა. შინაურებში „პანკრაშკინის" მეტსახელით ცნობილ უგამოცდილეს მორკინალს მეორე და მესამე ხაზშიც შეუძლია თამაში, რაც მწვრთნელებს მანევრების საშუალებას აძლევს. ზურაბ მჭედლიშვილს გუშინ საფრანგეთში რომ შევეხმიანეთ, ეს გვითხრა: „ნაკრებს უკვე შევუერთდი და სრულფასოვნად ვვარჯიშობ. ცხადია, მიხარია, მეორე მსოფლიოს თასზე რომ მომიწევს თამაში, მაგრამ ილოს ტრავმამ ეს სიხარული გამინელა. ყველანაირად ვეცდები, რომ იგი ღირსეულად შევცვალო."

მსოფლიოს თასის წინ ზურაბ მჭედლიშვილი ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში კი იყო, მაგრამ სატურნირო განაცხადში ვერ მოხვდა. მჭედლიშვილს ნაკრებში 44-ჯერ უთამაშია, აქედან 12-ჯერ „ლელოების" კაპიტნობდა.

**ბაჩო სვანიძე**

# RUGBY WORLD CUP 2007

საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი

# გიორგი შკინინი მეორე ტურის სიმბოლურში!

დამთავრდა მსოფლიოს თასის ჯგუფური ეტაპის მეორე ტური და www.planetrugby.com-ის მიმომხილველებმა სიმბოლური ნაკრები ჩამოწერეს. მსოფლიოს გამორჩეულ მორაგბეთა ამ სიაშიც ისმის ირლანდია — საქართველოს სუპერ-მატჩის ექო: „ლელოთა" გარემარბი გიორგი შკინინი მეორე ტურის სიმბოლურ გუნდშია!



15. **ჯეისონ რობინსონი (ინგლისი)** — ერთ-ერთი იმ ორი ბრილიანტთაგანი, რომელმაც სამხრეთ აფრიკასთან განადგურებისას წყვდიადით მოცულ ინგლისის ნაკრებში გაიბრწყინა. ეს იყო ინგლისის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ქვეშევრდომის რენესანსი და დიდი იმედი გვაქვს, რომ „რობი" ამ ჩემპიონატზე კიდევ ითამაშებს.

14. **ვინსენტ კლერკი (საფრანგეთი)** — ტულუზში მოთამაშე ფრანგებს ადგილობრივი პუბლიკა მაგრად დაეხმარა. გიგანტებს შორის ვერცხლისწყალივით მოძრავი ეს ბიჭი უბრალოდ, საუკეთესო იყო.

13. **სტირლინგ მორტლოკი (ავსტრალია)** — ავსტრალიელთა კაპიტანმა უელსთან თამაშის მთელი სიმძიმე თავიდანვე თავის თავზე აიღო და მშვენიერი თამაში დიდებული ლელოთი დააბოლოვა.

12. **ფრანს შტეინი (სამხრეთ აფრიკა)** — მისი ძირითადში თამაში თანაგუნდელის ტრავმით იყო გამოწვეული, მაგრამ შტეინმა სამაგალითოდ ითამაშა ახალზელანდიურ სტილში სიღრმიდან უსწრაფესი კომბინაციების წამოწყებით, რითაც ინგლისის უკანა ხაზს ჩიხში აქცევდა ხოლმე.

11. **გიორგი შკინინი (საქართველო)** — საქართველოს გმირობამდე სულ ცოტა დააკლდა... ეს ბიჭი კი აქ მარტო თავისი ულამაზესი ლელოს გამო არ მოხვდა. ის და მისი თანაგუნდელი ირაკლი მაჩხანელიც გმირულად იცავდნენ თავს, მაშინაც კი, როცა ირლანდიის ხაზი მათ დაცვას წელავდა.

10. **ბერიკ ბარნსი (ავსტრალია)** — ესეც იძულებით დააყენეს ძირითადში, მაგრამ უელსელთა გიჟმაჟ კაპიტან გარეტ ტომასთან შეჯახებასაც გაუძლო და გამოუცდელობის მიუხედავად, ხაზის გამთამაშებლის პოზიციაზე ბრწყინვალე იყო. ვითომ ავსტრალიაში ახალი ვარსკვლავი იზრდება?

9. **ფური დუ პრეეცი (სამხრეთ აფრიკა)** — ამ ტურის სიმბოლურის შედგენისას ბევრი დავა გაიმართა, მაგრამ დუ პრეცმა ინგლისის წინააღმდეგ იმდენად შთამბეჭდავად ითამაშა, რომ მის კანდიდატურას ყველა ერთხმად დაეთანხმა.

8. **ფინაუ მაკა (ტონგა)** — თმაგაჩეჩილმა ტონგელმა უეჭველად ბევრი სამუშაო გაუჩინა მონპელიელ მშენებლებს, რადგანაც მოედანზე და მის გარეთ გადარეული მარტორქასავით დარბოდა და ყველაფერს ამტვრევ-ამსხვრევდა, რაც გზად გადაეყრებოდა.

7. **აკაპუსი ქერა (ფიჯი)** — „გლოსტერმა" მისი სახით დიდი შეძენა მიიღო. წინა ტურშიც ახლოს იყო სიმბოლურში მოხვედრასთან, მაგრამ მაშინ რიჩი მაკქოუმ დაჯაბნა. თუმც კანადასთან შეუჩერებლად მოძრავმა და აგრესიულმა ფიჯელმა ახლა მაინც გაიკაფა გზა საუკეთესო თხუთმეტეულში.

6. **ჯერი კოლინზი (ახალი ზელანდია)** — პორტუგალიელები ბოჭავდნენ და ბოჭავდნენ მეტოქეებს და ცდილობდნენ, ხისტადაც ეთამაშათ. თუმც ის, რომ ევროპელები წინ ვერაფრით მიიწევდნენ, სწორედ ამ ბიჭის დამსახურებაა.

5-4. **ლიონელ ნალე და სებასტიან შაბალი (ორივე საფრანგეთი)** — ფრანგი მეორეხაზელები ერთად მოხვდნენ ამ სიმბოლურში. ისინი თავიანთ პოზიციურ ბრძოლებსაც უგებდნენ მეტოქეებს და წინაც გულდაჯერებით მიდიოდნენ. თითქმის მთელი თამაში ისე მოქმედებდნენ, თითქოს ზურგზე ხუთი და ოთხი კი არა, ექვსი და შვიდი ნომრები აწერიათო. მათ მიერ დადებული ოთხი (ორ—ორი) ლელო ამის ნათელი დადასტურებაა.

3. **პიტერ დე ვილიე (საფრანგეთი)** — მორტლოკისა არ იყოს, ესეც არც ისე დიდი ხანია მოედანს რომ დაუბრუნდა, მაგრამ მეტოქეებს შანსი არ დაუტოვა.

2. **ჯონ სმიტი, კაპიტანი (სამხრეთ აფრიკა)** — სამხრეთ აფრიკის კაპიტანმა ნამდვილი ლიდერული თვისებები გამოავლინა. მისი გუნდი რვაჯერ დაჯარიმდა, მაგრამ მხოლოდ ერთხელ პირველ ნახევარში. ასეთი გასაოცარი დისციპლინა სწორედ ამ კაცის ლიდერული თვისებების დამსახურებაა.

1. **ენდრიუ შერიდანი (ინგლისი)** — სამხრეთ აფრიკამ მოიგო, მაგრამ ბიჯეი ბოთამ — ვერა. ნაკრების უსაზიზღრესი თამაშის გამო თავად შერიდანის გამოსვლას ინგლისურმა პრესამ იგნორირება გაუკეთა, მაგრამ მან მაინც მშვენიერი მატჩი ჩაატარა.

## geo_geo_fan@hotmail.com

# მორაგბეები არ ამბობენ: „მენიუ არ გვივარგოდა"

**გრძნობები მინელდა, მაგრამ სიამაყის გრძნობა დარჩა ხალხის გულში. ძალიან, ძალიან დიდხანს გვემახსოვრება ჩვენი მორაგბეების ირლანდიური გმირობები. წაიკითხეთ ქართული რაგბის და საერთოდ სპორტის ქომაგების ეს წერილები და ამ ერთხელაც მიხვდებით, რა ტოტა ყოფნის ხალხს ბედნიერებისთვის. მკითხველო, ისიც მოინიშნე გონებაში, რომ სულ სხვა თვალით უყურებს გულშემატკივარიი მორაგბეებს და სხვა სპორტის მობურთალებს**

**GIO 8I**: გამარჯობათ ყველას! გილოცავთ ამ დიდ წარმატებებს, მართლაც ძალიან გაგვახარეს რაგბისტებმა და მოჭიდავეებმა. ერთ კვირაში სამი მსოფლიო ჩემპიონით ბევრი ვერ დაიკვეხნის, რაგბისტებმა კი მართლაც რაღაც სასწაული გააკეთეს, ბოლოს უკვე მოგებაზეც ვფიქრობდით, არადა მოგებაზე სიზმარშიც ვერ ვიოცნებებდით. ყოჩაღ ბიჭებო, ყოჩაღ, ეხლა ნამიბიას მოვუგოთ და დარწმუნებული ვარ რაგბის ელიტაშიც შევართ, რაც მთავარია მსოფლიოს დავანახეთ რომ არავისი და არაფრის არ გვეშინია, ეხლა ალბათ მთავრობაც. მოგხედავთ და მერე ნახონ ჩვენი მოგებები, მიდით!!! და ეს მატრაკვეცები და თუ გნებავთ, ძველი ბიჭებიც?!

ირლანდიელთა მთავარი კაცის ევროპის ალბათ საუკეთესო მორაგბე ბრაიან ოდრისკოლის სახე არ ამოიშლება გონებიდან, რა დღეში ჰქონდა თვალები, მორიგ ლელოს რომ გადაურჩნენ. რა ცოტა დაგვაკლდა... არგენტინელ ერნანდესზე უელსელ ჯონსზე ან ინგლისელ ვილკინსონზე არ ვამბობ, უბრალოდ, კარგი 10 ნომერი რომ გვყოლოდა, ირლანდიას ის არანორმალური იღბალიც აღარ უშველიდა. არა, მარტო 10 ნომერზე არ ვტეხთ ჯოხს, ჯერ კიდევ ბევრი გვაკლია გრანდობამდე, მაგრამ დრო მოვა და მივაღწევთ! აუცილებლად მივაღწევთ, რაც არ უნდა არარეალურად ჩანდეს! რა ვქნა, ირლანდიასთან ზეთამაშის მერე ასე ვფიქრობ, პესიმიზმის სურვილიც არ მაქვს!

**VILLA 7**: ირლანდიასთან თამაში რომ დამთავრდა, დარწმუნებული ვარ, ყველა გულშემატკივარს ორმაგი გრძნობა დარჩებოდათ. რა მაგრა ვითამაშეთ, ახლა მეამაყება, რომ ქართველი ვარ, მეგონა 60-70 ქულით წავაგებდით.

ღმერთო, ეს რა თამაში ვერ მოვიგეთ. უკვე არ ვიცოდი, რომელი გრძნობა სჭარბობდა ჩემში, სიამაყის თუ გაწბილების, ალბათ, უფრო სიამაყის...

ვუყურებდი ჩვენ 22 ლომს და მერე მახსენდებოდა ზოგიერთი სხვა სახეობის ქართველი სპორტსმენის მატრაკვეცობა, „მენიუ არ გვივარგოდა", „ავტობუსით მგზავრობა მღლის", „სპორტულები მიჭერს" და ასეთები. ახლა, ჩვენი მორაგბეებიც პატრიოტები არიან

**nukriani**: ყველაზე მეტად სპორტსმენი მაშინ ფასდება, როცა თავის საქმეში სამშობლოს სიყვარულს გამოაჩენს. ასეთები არიან ქართველი მორაგბეები. ვინც ირლანდიელებთან მატჩი ნახა, დამეთანხმება, რომ მთელი 80 წუთი ამის დემონსტრირება იყო. უბრალო და მაგარი კაცები არიან. შეხვედრა რომ დამთავრდა თავი სიზმარში მეგონა, ალბათ ირლანდიელებსაც. გული კი იმაზე მწყდება, ქართველ ფეხბურთელებს სამშობლოს სიყვარულის ნატამალს რომ ვერ ვამჩნევთ, არადა ისინიც ქართველები არ არიან?

geo_geo_fan@hotmail.com

# მამაცი გულები მუხის კოცონთან

**„მამაცმა გულებმა"** რუმინელ „მუხის ფოთლებს" დინჯად, ფრთხილად და ეფექტურად, მაგრამ მაინც გადაუარეს. შოტლანდიელებს რუმინელებთან შეცდომის დაშვების უფლება არ ჰქონდათ, რადგან C ჯგუფში ნებისმიერ ქულას სისხლის ფასი აქვს და დარჩენილი ორი (ახალ ზელანდიასთან და იტალიასთან) გადამწყვეტი მატჩის წინ უბრალოდ, არადამაჯერებელი მოგებაც კი ეჭვქვეშ დააყენებდა ბრიტანელთა სარაგბო რეპუტაციას.

რუმინელთა თამაშს კი თამამად შეიძლება, ჯახირი ეწოდოს. კარპატელების უმარილო შეტევები გავდა უსინათლო კაცის ტყეში ხეტიალს, რომელიც ყოველ წუთს ხეს ეჯახება და ძირს დავარდნილმა აღარ იცის შველა ვის თხოვოს. გუნდი, რომლისთვისაც მეტოქის ოცდაორთან მიახლოება ოცნების მწვერვალია, რაღა თქმა უნდა, სტატისტია, თანაც ცუდი სტატისტი, ისეთი ცუდი, რომ მასთან წესიერად ვერც კი ივარჯიშებ.

ისედაც განწირული რუმინელები სამ კაცს გამსხლტარმა პატერსონმა მეორე წუთზევე დაალელოვა. ასე სწრაფად თავსდამტყდარმა უბედურებამ კარპატელების საბრძოლო ჟინი ნაცარტუტად აქცია, ფერფლი კი ახალზელანდიელ და იტალიელ მზვერავებს თვალებში შეაყარა. შოტლანდიელები უფრო ძლიერი მეტოქისთვის იჭნებ ვერც გამოდგნენ ისეთი მაგრები, როგორებც რუმინელებთან ჩანდნენ, მაგრამ უნებურად მოკრძალებას იგრძნობდით კუნძულელებისადმი, რომ დაგენახათ, როგორ უნიათოდ აწყდებოდა კარპატელების შეტევა მათ დაცვის კედელს.

პირველსავე ნახევარში ალი ჰოგმა და რორი ლამონტმაც დალაშქრეს მოწინააღმდეგის ლელო და შესვენებაზე გვარიანი ჰანდიკაპით გავიდნენ.

მეორე ტაიმშიც არ შეცვლილა თამაშის სცენარი. ორმოცდამეექსე და ორმოცდამეცამეტე წუთზე ჰოგმა, ხოლო სამოცდამეთორმეტეზე ლამონტმა ლელოებით დახუნძლეს კარპატელები და შემდეგ არხეინად გაემართნენ გასახდელისკენ. 23 სექტემბერს შოტლანდია ახალ ზელანდიას ეთამაშება და ორივე გუნდის რეალური ძალაც მაშინ გამოჩნდება.

**ზურაბ მიგრიაული**

### C ჯგუფი

18 სექტემბერი. ედინბურგი (შოტლანდია)

**შოტლანდია 42:0 რუმინეთი**

შოტლანდია: რ. ლამონტი, ს. ლამონტი, ვებსტერი, დოუ, პატერსონი; პარქსი, ბლერი; ტეილორი, ჰოგი, ვაიტი, ჰამილტონი, ჰაინისი, მურეი, ფორდი, კერი

სათადარიგოები: ლოუსონი, სმიტი, მაკლეოდი, ბრაუნი, კიუსიტერი, საუსველი, უოლკერი

ნლ: პატერსონი, ჰოგი (3), რ. ლამონტი (2); ნგ: პატერსონი

რუმინეთი: დუმიტრაში, ფერკუ, გალი, გონტინიაკი, ბრეზოიანუ; დიმოფტე, სირბუ; ტონიცა, მანტა, კოროდეანუ, პეტრე, სოკოლი (კაპ), ბალანი, ტინკუ, ტოდერაშკი

სათადარიგოები: ფლორეა, მავროდინი, რატიუ, ტუდორი, კალაფეტეანუ, ტოფანი, ვაისკუ

19 სექტემბერი. 22.00. პარიზი

**იტალია 31:5 პორტუგალია**

დღეს. 23.00. კარდიფი(უელსი)

**უელსი — იაპონია**

# ჩემპიონთა ლიგა 2007-2008. ჯგუფური ეტაპი. I ტური. მეორე დღე

### E ჯგუფი

**ბარსელონა 3:0 ლიონი**

1:0 კლერკი (21ს.კ.), 2:0 მესი (82), 3:0 ანრი (90)
ბარსელონა: ვალდესი, ძამბროტა, გ. მილიტო, მარკესი, აბიდალი, ტურე იაია, დეკუ, ხავი (დოს სანტოსი 79), რონალდინიო (ინიესტა 66), მესი (კრკიჩი 88), ანრი
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
ლიონი: ვერკუტრი, კლერკი, სკილაჩი, ბოდმერი, რევეილე, ტულალანი, კალსტრიომი (კ. კეიტა 83), ჟუნინიო, ბელჰადი (ბაროში 62), გოვუ, ბენზემა (ბენ არფა 76)
მწვრთნელი: ალენ პერენი
გაფრთხილება: ტურე იაია, ანრი
მსაჯი: მასიმო ბუსაკა (იტალია)
90 000 მაყურებელი

**რეინჯერსი 2:1 შტუტგარტი**

0:1 გომესი (56), 1:1 ადამი (62), 2:1 დარშევილი (75პ)
რეინჯერსი: მაკგრეგორი, ჰატონი, ვეირი, პაპაჩი, ბ. ფერგიუსონი, ჰემდანი, ტომპსონი, ადამი (ბისლი 67), დარშევილი (ნოვო 83), კუელიარი, ვაიტეკერი (ფაიე 86)
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
შტუტგარტი: შეფერი, ოსორიო, ტაში, მეირა, პარდო, ბოკა, კაკაუ, ჰილბერტი, ანტონიო (ევერტონი 70), ხედირა (ბაშთურქი 78), გომესი
მწვრთნელი: არმინ ფეე
გაფრთხილება: მეირა, ჰატონი, ტომპსონი, პარდო, ფაიე
მსაჯი: სტეფანო ფარინა (იტალია)
49 795 მაყურებელი

### F ჯგუფი

**სპორტინგი 0:1 მანჩესტერი**

0:1 რონალდუ (62)
სპორტინგი: სტოიკოვიჩი, პოლგა, იზმაილოვი (ვუკჩევიჩი 56), რონი (პერეირინია 74), ტონელი, ჟალო, ველოსო, მუტინიუ, რომანიოლი (პუროვიჩი 68), ლიდსონი, აბელი
მწვრთნელი: პაულუ ბენტუ
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ევრა, ფერდინანდი, ბრაუნი, ვიდიჩი, რონალდუ (ტევესი 87), კარიკი, ნანი, სქოულზი, გიგზი (ანდერსონი 76), რუნი (საა 72)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: რომანიოლი, ნანი, ვან დერ სარი
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
39 514 მაყურებელი

**რომა 2:0 დინამო**

1:0 პეროტა (9), 2:0 ტოტი (70)
რომა: დონი, ჟუანი (ფერარი 82), მექსეში, აკვილანი (დ. პიზარო 83), კასეტი, დე როსი, პეროტა, ტონეტო, მანსინი (ჟიული 61), ტოტი, ტადეი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
დინამო: შოვკოვსკი, ფიოდოროვი, ბანგურა (რინკონი 46), მაიკლი (რებროვი 56), შაცკიხი, მიხალიკი, გუსევი (კორეა 71), ელ-კადური, გავრანჩიჩი, იუსუფი, მარკოვიჩი
მწვრთნელი: ანატოლი დემიანენკო
გაფრთხილება: იუსუფი, ტონეტო
მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)
60 000 მაყურებელი

### G ჯგუფი

**პსვ ეინდჰოვენი 2:1 ცსკა**

1:0 ლაზოვიჩი (59), 2:0 პერესი (80), 2:1 ვაგნერ ლავი (89)
პსვ ეინდჰოვენი: გომესი, სალსიდო, და კოშტა, სიმონსი, მენდესი (კრომკამპი 71), ლაზოვიჩი, კოვერმანსი (ფარფანი 75), ალსიდესი, კულინა, ადო, აფელაი (პერესი 28)
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
ცსკა: მანდრიკინი, შემბერასი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი, ვ. ბერეზუცკი, რახიმიჩი (ედუარდო 78), კრასიჩი, ჟირკოვი, დუდუ, ვაგნერ ლავი, ჟო
მწვრთნელი: ვალერი გაზაევი
გაფრთხილება: რახიმიჩი, დუდუ
მსაჯი: პედრუ პროენსა (პორტუგალია)
35 000 მაყურებელი

**ფენერბაჰჩე 1:0 ინტერი**

1:0 დეივიდი (43)
ფენერბაჰჩე: ვოლკანი, ლუგანო, რობერტო კარლოსი, ვედერსონი, კეჟმანი (შენტურკი 67), აურელიო, ტურაჯი, ალექსი, ბარიში, ედუ, დეივიდი
მწვრთნელი: ზიკო
ინტერი: ჟულიო სეზარი, ხ. ძანეტი, სტანკოვიჩი, მაქსველი, სამუელი, ე. ლოპესი, დაკური (ხიმენესი 70), კამბიასო, სოლარი (ფიგუ 57), სუაზო (კრესპო 72), იბრაჰიმოვიჩი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: ტურაჯი, იბრაჰიმოვიჩი, ლუგანო, დეივიდი, სამუელი, ხიმენესი
მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)
45 000 მაყურებელი

### H ჯგუფი

**არსენალი 3:0 სევილია**

1:0 ფაბრეგასი (27), 2:0 ვან პერსი (59), 3:0 და სილვა (90)
არსენალი: ალმუნია, სანა, კოლო ტურე, სენდეროსი, კლიჩი, გლები, ფაბრეგასი, ფლამინი, როსიცკი (დიაბი 50), ადებაიორი (და სილვა 83), ვან პერსი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
სევილია: პალოპი, დ. ალვეში, ფასიო, ესკუდე, დრაგუტინოვიჩი, ხესუს ნავასი, პოულსენი, მარტი (ს. კეიტა 66), კაპელი (რენატო 67), ლუის ფაბიანო (კერჟაკოვი 46), კანუტე
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: ადებაიორი, ალვეში, კეიტა
მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)
60 000 მაყურებელი

**სლავია 2:1 სტიაუა**

1:0 შენკერიკი (13), 1:1 გოიანი (33), 2:1 ბელე (63)
სლავია: ვანიაკი, დრიოდალი, სუხი, ბრაბეცი (იანდა 43), ლატკა (გუბაჩეკი 46), კრაიჩიკი, ბელე (ვოლეშაკი 81), ტავარესი, პუდილი, შენკერიკი, ვლჩეკი
მწვრთნელი: კარელ იაროლიმი
სტიაუა: ზაპატა, ბადეა, გოიანი, რადა, მარინი, ნიკოლიტა, ლოვინი (სურდუ 62), პეტრე, კრისტოჩეა (კროიტორუ 53), დიკუ, იაკობი (ბადეა 71)
მწვრთნელი: გეორგე ჰაჯი
გაფრთხილება: გოიანი, ლოვინი, კროიტორუ, ვოლეშაკი
მსაჯი: ოლეგარიუ ბენკერენსა (პორტუგალია)
18 000 მაყურებელი



„არსენალმა" „სევილია" გაანადგურა

## ყველაზე ხმაურიანი სტამბოლი

**„ბარსელონამ"** ბოლოს და ბოლოს შეძლო კატალონიის გახარება — შინაურ ლა ლიგაში არც თუ ისე კარგად მოთამაშე გრანდმა ჩემპიონთა ლიგის პირველ მატჩში ფრანგული „ლიონი" დაჩაგრა და „კამპ ნოუს" იმედი დაუბრუნა. ტიერი ანრიმაც ნანატრი გოლი გაიტანა მას შემდეგ, რაც სუპერელეგანტური ფრანგი ფორვარდი ინგლისიდან სამხრეთში გადაბარგდა, ოფიციალურ ჯახებში გოლის გემო დაავიწყდა და აჰა, „ლიონიც" — გალმა პირველი ბარსელონური გოლი გალურ გუნდთან ჩაიწერა სათვალავში.

იქამდე კი კლერკმა „ივაჟკაცა" და მესის გასროლა თავის კარში ჩაჭრა, მერე კი თავად ლეომ შეაგდო.

„ბარსა" ამ ანგარიშით ჯგუფის ყოჩია, ხოლო შოტლანდიაში „რეინჯერსმა" და „შტუტგარტმა" ერთმანეთს თავ-პირი დაალეწეს. მასპინძლებმა მოიგეს, თუმცა ანგარიში სტუმარმა მარიო გომესმა გახსნა. მერე კი „რეინჯერსმა" ივაჟკაცა, ადამმა და დარშევილმა თავიანთი საქმე ხუთიანზე გააკეთეს.

„რომამ" კიევის „დინამო" დასცა, ხოლო „მანჩესტერმა" პორტუგალიელი კრიშტიანუ რონალდუს გოლით ლისაბონის „სპორტინგს" ანდერძი აუგო, ლისაბონელთა სამწუხაროდ, ისიც გავიხსენოთ, რომ რონალდუ ყოფილი სპორტინგელია.

„ინტერს" სალიგო მატჩის წინ „ფენერბაჰჩესი" ეშინოდა და არც თუ უსაფუძვლოდ. თურქთა ფორვარდმა დეივიდმა იტალიურ გრანდს პირველი ტაიმის მიწურულს გატანილი გოლით გვარიანი შოკი აჭამა და „ფენერმაც" ეს ანგარიში ბოლომდე შეინარჩუნა.

იძახდა „ინტერნაციონალეს" შეფი მასიმო მორატი, ზიკოს გაწვრთნილი გუნდები საშიში არიანო და წუხილი კოშმარად ექცა...

საამსეზონო ლიგის წილისყრისას მოსკოვური ცსკა-ს მესვეურები „ბარსასთან" ერთ ჯგუფში მოხვედრას ნატრობდნენ. „ბარსელონას" ვინ ჩივის, რუსებმა ჰოლანდიაში შედარებით მოკრძალებულ პსვ-სთან წააგეს. G ჯგუფს სწორედ პსვ ლიდერობს.

„არსენალს" ესპანელთა მიერ სუპერგუნდად წოდებული „სევილია" შემოეჭამა. ანდალუზიელთა ლიგური დებიუტი უიღბლო აღმოჩნდა, რასაც პრაღის „სლავიაზე" ვერ ვიტყვით — ჩეხებმა საკუთარ არენაზე ბუქარესტის „სტიაუა" დაამარცხეს.

აღსანიშნავია, რომ „სლავიამ" დღემდე ხუთჯერ მოსინჯა ლიგაში თამაში და ხუთჯერვე კისერი წაიტეხა. ახლა კი რუმინელთა გამწარება შეძლო.

**ლადო ხომერიკი**



17 წლის ბარსელონელი ბოიან კრკიჩი ჩემპიონთა ლიგის უმრწემესი მონაწილეა

AFP

## უეფას თასი 2007-2008

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

ლანსი (საფრანგეთი) 1:1 კოპენჰაგენი (დანია)

### ჩეხეთი

გამბრინუსლიგა
გადადებული მატჩი
ბრნო 2:2 ტეპლიცე

### ინგლისი

ჩემპიონატი. VI ტური
საუთჰემპტონი 1:1 კოლჩესტერი
კარდიფი 1:2 უოტფორდი

### ფინეთი

ვეიკაუსლიგა
XX ტური
ჰონკა 2:0 ოულუ
ვპს 2:1 ჰიკ

### პოლონეთი

ლიგის თასი. I ეტაპი
ლეხი 2:0 ოდრა
ბელხატუვი 1:2 ზაგლები
ვისლა 0:1 გურნიკი


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორჩილავა
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოღუნჯაშვილი, ბადრი კვთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარაშვილი, ლია ბესელია, ხათუნა ბუზუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge